



ზურაბ ფარესიშვილი
მზია ცელუკიპა

ჩაის ღანერისხება
და ღვამუსტაცია

ზურაბ ფარესიშვილი
მზღა ცულუკიძე

ჩაის დახარისხება და დეგუსტაცია



გამომცემლობა „ნივენისალი“
თბილისი 2013

**შაბ (UDK) 663.95
გ-275**

რედაქტორი:	ზურაბ ჯაფარიძე (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს პროფესორი)
რეცენზენტი:	თემურ რევიშვილი (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი)
ტექნიკური რედაქტორი:	ქეთევან ქარჩავა
კორექტორი:	მარიკა ზვიადაძე
დიზაინი:	ლევან მხეიძე
კონსულტანტი :	ლევან კვარცხავა (ჩაის ტიტესტერი, ინჟინერ-ტექნოლოგი)

©, ზ. ფარესიშვილი, მ. წელიკიძე, 2013

გამომცემლობა „უნივერსალი”, 2013

თბილისი, 0179, ი. ვავავაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-097-5

ნინასიტყვა

ნაშრომი ეხება კვების მრეწველობის ერთ-ერთ წამყვან დარგს — ჩაის. ჩაის ფოთლის ტექნოლოგიური გადამუშავების დროს, ნედლეულში წარმოქმნილი ბიოქიმიური გარდაქმნების პროცესების ზეგავლენით მიღებულ პროდუქტის ხარისხის ამაღლებას, ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების ინოვაციურ მეთოდებს, კონტროლისა და მიღებული პროდუქტის უვნებლობის საკითხებს. იგი განკუთვნილია ჩაის მრეწველობაში მომუშავე ინჟინერ-ტექნოლოგების, ბიოქიმიკოსების, ტიტესტერებისა და ამ დარგის განვითარებით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის, რომლებიც დაკავებულნი არიან ინოვაციური მეთოდებით ჩაის სამეწარმე - ბიზნეს საქმიანობაში.

ნაშრომი მოიცავს ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხებისა და სატიტესტერო საქმიანობის სრულ ფაზას. განკუთვნილია სასწავლო-საგანმანათლებლო კურსის სამაგისტრო-საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებისთვის და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორი სტუ-ს პროფესორი
ზურაბ ჯაფარიძე

შესავალი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ნატურალურ ჩაის უკავია ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ყავასთან, კაკაოსთან, კოკა-კოლასთან, პეპსი-კოლასთან და სხვა უაღკოჰოლო სასმელებთან ერთად, რაც აისახება ჩაის მრავალმხრივი და-დებითი თვისებებით და ზემოქმედებით ადამიანის ორგანიზ-მზე და ჯამრთელობაზე.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს-თვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩაის კულტუ-რას და მის წარმოებას, იგი იძლეოდა 45-46%-მდე ნაციონა-ლურ შემოსავალს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომლებიც აწარმოებდნენ ჩაის პროდუქციას, 95% მუშავდებოდა საქარ-თველოში; დანარჩენი 3,5% იწარმოებოდა კრასნოდარის მხა-რეში და 1,5% აზერბაიჯანში. მიუხედავად ამისა, გამოშვებუ-ლი პროდუქციის საერთო რაოდენობით და ჩვენი სამამულო ჩაის წარმოებით ვერ ვაკმაყოფილებდით ქვეყანას (სსრკ), ამიტომ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ყოველწლიურად შემოგვენდა პროდუქციის მნიშვნელოვა-ნი რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნიდან, ძირითადად კი ინდოე-თიდან.

1990 წლებიდან, საქართველოში მომხდარი ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების გამო, მკვეთ-რად იყლო ჩაის წარმოების მოცულობამ. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, 1970-2000 წლების სტატისტიკური მონაცემები გა-ცილებით მაღალია ვიდრე 2000-2010 წლის სტატისტიკური მონაცემები, ანუ თუ 1990 წლისთვის საქართველოში წარმო-ებული ჩაის პროდუქცია შეადგენდა 78 ათ. ტონა ნატურა-ლურ ჩაის, მომდევნო 2000 წლისათვის იგი დაეცა 45 ათ. ტო-ნამდე, ხოლო 2010 წლისთვის უკვე არაოფიციალური მონა-ცემებით შეადგენდა 2,0ათ. ტონა პროდუქციაზე ნაკლებს.

ყოველივე ამან გამოიწვია ჩაის გადამამუშავებელი სა-ნარმოთა პოტენციალის დაქვეითება და უმრავლეს შემხთვე-ვაში გაჩერება-გაუქმება. შესაბამისად, იკლო ჩაის სპეცია-ლისტთა მომზადებისა და გადამზადების საკითხმა. დაეცა ჩაის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური კონტროლი-სა და ხარისხის განმსაზღვრელი სამსახურების მუშაობის ეფექტიანობა, რამაც უარყოფითად იმოქმედა ჯერ კიდევ შე-მორჩენილ ჩაის ფაპრიკებზე და შიდა ბაზარზე გამოჩნდა როგორც ქართული, ისე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი და-ბალი ხარისხის ჩაის პროდუქცია.

თავი I

ზოგი რამ ჩაის ფოთლის შესახებ

ჩაის ფოთოლი არის ნედლეული, რომლისგანაც მიიღება ბაიხის ჩაის პროდუქცია. ჩაის პლანტაციებში ბუჩქებზე მოკრეფილი ჩაის ფოთლის მასა უნდა შესდგებოდეს სამფოთოლო-ანი ყლორტებისგან ნახ. 1 ანუ ნაზი დუებისგან, რომლის სამომხმარებლო ღირსება განისაზღვრება იმ ნივთიერებების შემცველობით, რომელიც ჩაის ფოთოლს აქვს და რომლის დაფიქსირება და შენარჩუნება უნდა მოხდეს ტექნოლოგიური გადამუშავების დროს ბიოქიმიური პროცესების დაცვით. ამის შედეგად ყალიბდება არომატი, გემო, ნაყენის ფერი, ჩაის პროდუქციისათვის დამახასიათებელი სხვა მნიშვნელოვანი თვისებები და ნივთიერებები, როგორიცაა: ტანინი, კოფეინი, ეთერზეთები, ნახშირწყლები, ცილები და სხვა. ამ ნივთიერებების შემცველობაზეა დამოკიდებული ჩაის ფოთლის ღირსება და მისგან გამომუშავებული პროდუქციის ხარისხი, ჩაის ფოთოლში ზემოაღნიშნული ნივთიერებების შემცველობა და-მოკიდებულია მრავალ ფაქტორზე:

1. ბიოლოგიური ფაქტორები: ანუ თვით მცენარის ბუნება ე.ი. ჩაი რა ჯიშისა და სახესხვაობისაა. დადგენილია, რომ კიმინის, ასამის და ქართული ჩაის სელექციური ჯიშების ბუჩქებიდან მოკრეფილი ყლორტები შესამჩნევად გამოიჩინება ექსტრაქტული ნივთიერებების, ტანინის, კოფეინის და სხვათა მაღალი შემცველობით.

2. ბუნებრივი ფაქტორები: კლიმატი (სითბო, სინათლე, სინესტე და ნიადაგობრივი პირობები) ჩაისათვის წარმოადგენს გადამწყვეტი როლს.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

- ჩრდილოეთ ამერიკაში 1900-იან წლებში ჩაის იმპორტისაგან თავის დაღწევის მიზნით გადაწყვიტეს ჩაის კულტურის გაშენება. ბუჩქმაც შესამჩნევად იწყო ზრდა, მაგრამ მიღებული პროდუქცია იმდენად უხარისხო იყო, რომ სწრაფად შეწყვიტეს მისი გაშენების ცდები.

ბრაზილიის საქვეწოდ ცნობილ რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულის შტატებში ჩაის ბუჩქები გააშენეს, მაგრამ მისგან ძალიან დაბალი არომატის მქონე მნარე და წებოვანი ჩაი მიიღეს და ამიტომ არათუ მსოფლიო ბაზარზე, შიდა ბაზარზედაც ვერ გაბედეს გამოტანა. იგივე განმეორდა კალიფორნიასა და ავსტრალიაში, სინგაპურსა და ჰონკონგში, რომელთაც ცეილონის მიბაძვით სურდათ ჩაის წარმოების გაფართოება, მაგრამ მდარე ხარისხის მიღების გამო შეწყვიტეს გაშენება.

კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების გავლენა ჩაის ფოთლის ფიზიკურ თვისებებსა და ქიმიურ შემადგენლობაზე იმდენად დიდი და შესამჩნევია, რომ მთელ რიგ მაჩვენებელთა მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის ჩაის პლანტაციებიდან მოკრეფილი და დამზადებული სხვადასხვა ჩაის ფოთოლი, არამედ ერთი და იმავე ქვეყნის ფარგლებში ჩაის პლანტაციიდან წლის სხვადასხვა დროს დამზადებული და ვეგეტაციის სხვადასხვა პერიოდში მოკრეფილი ნედლეულიც.

ინდოელი მეცნიერი დოქტორი ბანი, ინდოეთის საქვეყნოდ ცნობილი რაიონის, დარჯილინგის ჩაის მაღალ ხარისხს ამ რაიონის ნიადაგების განსაკუთრებული შემადგენლობით, თავისუფალი ფოსფორის დიდი ოდენობის შემცველობით, სპეციფიკური ჰავითა და რელიეფით ხსნიდა. ახლა ეჭვს არ იჩვევეს, რომ ჩვენში, ორპირის, წყალტუბოს, ოფუჩეთი, ჭიათურის, გონიოს, აცანისა და სხვა მიკროზონების ჩაის აქვს განსხვავებული არომატი და გემოს მაღალი თვისებები.



ნახ. 1 ჩაის ორ და სამფოთლიანი
ნორჩი ყლორტები (დუყები)

ცნობილია, რომ გეოგრაფიულად, ჩაის კულტურის გავრცელების თვალსაზრისით, საქართველო, როგორც კრასნოდარის მხარე და ასევე აზერბაიჯანი, უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეს წარმოადგენს მსოფლიოში. სწორედ ამ ფაქტორის გამო იყო, რომ საქართველოში ჩაის გავრცელების საკითხის გადაწყვეტაც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა.

არ შეიძლება გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ინდოეთის მთელი სამხრეთი ნაწილი წმინდა ტროპიკული ჰავის მხარეა, ხოლო საქართველო სუბტროპიკული, საქართველოში ამის გამო ჩაის ჩრდილოეთის /ჩინური/ ჯიშების ბუჩქი, ხოლო სამხრეთ ინდოეთში ასამის ჩაის ჯიშის ბუჩქებია გაშენებული, ამიტომ პირველი, მთელი რიგი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, ჩამორჩება ამ უკანასკნელს.

ჩაის ძირიული გემაღგენლობა

ჩაი არის პროდუქტი, რომელიც მზადდება ჩაის ბუჩქის ახალგაზრდა ყლორტებისაგან და გამიზნულია სასმელის დასამზადებლად. ჩაის სასმელს აქვს მატონიზებელი ეფექტი. იგი დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა, ნერვულ და საჭმლის მომნელებელ სისტემაზე, ხსნის დაღლილობას და ზრდის შრომისუნარიანობას.

ჩაის ფოთლის და მზა ჩაის შემადგენლობის ძირითადი კომპონენტებია: წყალი, ტანინი, კოფეინი, ეთერზეთები, ცილები, ნახშირწყლები, პექტინი, პიგმენტები, ფერმენტები, ვიტამინები, ნაცრის ელემენტები და სხვა. ჩაის ყლორტი შეიცავს წყალს 72-80%-ს, რომელიც შრობის შემდეგ მცირდება 4-7%-მდე. მშრალი ჩაის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 7%-ს, ვინაიდან მზა ჩაიში ტენის მომატება აქვეითებს მის ხარისხს.

ჩაის მთრიმლავი ნივთიერებები ანუ თეატანინები წყალში ხსნადი და წყალში უხსნადია. ჩაის ხარისხს ძირითა-

დად წყალში ხსნადი ნივთიერებები განაპირობებენ. მთრიმ-ლავი ნივთიერებების შემცველობა მეტია ახალგაზრდა ყლორტებში, რომლის ცვალებადობა მეტ-ნაკლებია სეზონის განმავლობაში. ახალგაზრდა ყლორტები თეატრანინს შეიცავენ 18-30%-მდე, ხოლო მზა ჩაი 10-18%-ს. რაც მეტია თეატრანინი, მით უკეთესია ჩაის ხარისხი.

ჩაის ექსტრაქტული ნივთიერებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ტანინი და ახასიათებს ისეთი ძირითადი საგემოვნო თვისებები, როგორიცაა სიმწკლარტე, ჩაის ნაყენი (ფერი) და გემო, რომელიც სწორედ წყალშიხსნადი ტანინის შემცველობით განისაზღვრება. ცხრ. 1.

ზოგიერთი ბიოქიმიკოსი მეცნიერის მონაცემებით, ჩაის მთრიმლავი ნივთიერებები კატეხინებისა და მათი კონდენსაციის პროდუქტების ნარევს წარმოადგენს.

ტანინი - $C_{22}H_{18}O_{10}$ გაჯერებულ ხსნარში წარმოშობს უფერო ნემსისმაგვარ კრისტალებს, რომლებიც ადვილად იხსნებიან ცხელ წყალში, ხოლო ნაკლებად — ცივ წყალში.

ჩაის მცენარის მთრიმლავი ნივთიერებები ძირითადად განაპირობებენ ჩაის ფოთლის ხარისხს, რომლებიც გადამუშავებისას ექვემდებარებიან სხვადასხვაგვარ გარდაქმნს. მთრიმლავი ნივთიერება (თეატრანინი) სხვადასხვა პოლიფენოლის, კატეხინისა და მათი წარმოებულების ნარევს წარმოადგენს. ჩაის ტანინის ფრაქციები იცვლებიან ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების, ნედლეულისა და გადამუშავების ტექნოლოგიური მეთოდების შესბამისად.

კოფეინი (თეინი) - აზოტოვანი, წყალში ხსნადი მომნარო გემოს ნივთიერებაა, რომელიც მიეკუთვნება პურინის ფუძეს. მისი ემპირიული ფორმულაა $C_8H_{10}O_2$. ჩაიში კოფეინის შემცველობა თავისუფალი სახით და მთრიმლავ ნივთიერებებთან ნაერთში შეადგენს 2,5-დან 5%-ს.

**ქართული ჩაის სახესხვაობების ახალგაზრდა ყლორტების
ტანინის ქიმიური შემადგენლობა**

ცხრილი №1

კატებინი	აგებულება	ნივთიერების შეცველობაში ტანინი, %
d,l-კატებინი		0,4
e-ეპიკატებინი		1,3
d,l-გალოვატებინი		2,0
e-ეპიგალოვატებინი		12,0
l-ეპიკატებინგალატი		18,1
e-ეპიგალოვატებინ-გალატი		58,1
გალიუმის ეთერი		1,4
კვერციტრინი		0,27
თანდევი პიგმენტები და გალიუმის მჟავა სულ		5,0 98,57

კოფეინის ფიზიოლოგიური ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვაგვარია. მას აქვს ცენტრალური ნერვული სისტემის, კუნთოვანი და გულისისხლძარღვთა ქსოვილების, თირკმელების სტიმულირების უნარი, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. სწორედ ეს ფაქტორი გახდა მიზეზი ჩაის, როგორც სასარგებლო და სამკურნალო სასმელის, ფართო გამოყენებისა.

კოფეინი ნაწილობრივ იმყოფება ტანინთან შენაერთში. ამ ნაერთის სიჭარბე თხევად მდგომარეობაში გაციებისას იწვევს ჩაის ნაყენის ამღვრევას. მაღალექსტრაქტული ჩაის ნაყენი (ინდოეთის, განსაკუთრებით ასამის რაიონის) გაციებისას იმღვრევა, რაც ჩაის კარგი ხარისხის მაჩვენებელია. საკმარისია მისი განზავება მდუღარე წყლით და იგი იბრუნებს გამჭვირვალეობას. ეს აიხსნება იმით, რომ ოქსითეატრანიატი უკეთესად იხსნება მდუღარე ცხელ წყალში, ვიდრე ცივში.

არომატული ნივთიერებები განაპირობებენ ნაყენის არომატს, გემოს, ინტენსივობას და წარმოადგენენ ჩაის ხარისხის ძირითად მაჩვენებლებს. ჩაის ეთერზეთების შემადგენლობაში შედის დაახლოებით 32 კომპონენტი: არომატული ნახშირწყალბადები, ალფენიდები, ფენოლები, კეტონები, მუავები, სპირტები, ეთერები და სხვა ნაერთები, თუმცა ეთერზეთების რომელი კომპონენტი განაპირობებს ჩაის არომატს, დადგენილი არ არის.

არომატული ჩაი (ინდური ჩაის უმაღლესი ხარისხის) ხასიათდება ეთერზეთების შემადგენლობაში არომატული ალფენიდების მაღალი შემცველობით.

ეთერზეთები ნივთიერებებისა და ნაერთების რთული ნარევია, რომელიც შედგება ნახშირწყალბადების, ალფენიდების, სპირტების, მუავებისა და ფენოლებისგან. მცენარეებში მათი წარმოშობა და ფიზიოლოგიური როლი სათანადოდ არ არის შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი

უხსოვარი დროიდან ფართოდ გამოიყენებიან ფარმაცევტულ, კვების და განსაკუთრებით პარფიუმერიის წარმოებაში.

მზა ჩაიში ეთერზეთების შემცველობა უმნიშვნელოა და შედაგენს 0,02%-ს თუმცა ისინი ჩაის გემოსა და არომატის ძირითადი განმსაზღვრელი არიან. დარჯილინგი, ჩინური კიმინი და ცეილონის მაღალმთიანი ჩაის ჯიშები ძირითადად მათი შესანიშნავი არომატული ნივთიერებების შემცველობის გამო ფასდება.

ჩაის ეთერზეთები ჟანგბადის ზემოქმედებით ადვილად იუანგებიან. იგი ყვითელი ფერის სითხეა ჩაის ძლიერი არომატით. მზა ჩაის ეთერზეთების ქიმიური შემადგენლობაა: შემადგენლობის ფორმაცია (%), ზეთის მასასთან)

ცილოვანი ნივთიერებები ჩაის ფოთოლში ჭარბი რაოდენობით შემცველობისას, უარყოფითად მოქმედებენ შავი ჩაის საგემოვნებო და არომატულ ლირსებებზე. გადამუშავების პროცესში ისინი ტანინთან წარმოქმნიან წყალში უხსნად ნაერთებს, რაც ამცირებს ჩაის ექსტრაქტულობას.

ჩაის ფოთოლში შემავალი ამინომჟავები

აკადემიკოს მ. ბოკუჩავას მონაცემებით, ჩაის ფოთოლში ნაპოვნია 17 ამინომჟავა, რომელთაც ჩაის არომატისა და ფერის წარმოქმნისათვის აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუმცა ჩაის არომატი ძირითადად დამოკიდებულია ჩაის ფოთოლში არსებულ ეთერზეთებზე, რომელიც წანილობრივ სინთეზირდება გადამუშავების პროცესში.

ნახშირწყლები - მათი შემცველობა ჩაის ფოთოლში მცირეა. მიეკუთვნებიან მარედუცირებელ შაქრებს და საქართვის. ჩაის ფოთოლში შაქრების შემცველობა იმატებს მისი

დაძველებისას. I ხარისხის ფოთოლი შეიცავს 4,1%, ხოლო უხეში-8,47%-ს. მწვანე ჩაის ფოთოლში უჯრედინას (ცელულოზა) შემცველობაა 6-9%.

პექტინური ნივთიერებანი - ჩაის ნედლეულში შეიცავს 2-3%. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, პექტინის შემცველობა ზეგავლენას ახდენს ჩაის ხარისხზე, მაგალითად, მომღნარი ჩაის ფოთლის წებოვნებას და მოტყებო გემოს ხსნიან პექტინის არსებობით.

ფერმენტები. ჩაის ფოთლის ფერმენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩაის წარმოებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰიდროლიტური და დამჟანგავი ფერმენტები, რომლებიც ჩაის ნედლეულში ხელს უწყობენ ქიმიური გარდაქმნების დაჩქარებას.

ჩაის ფოთოლში შედის პეროქსიდაბა, ოქსიდაზა, და კატალაზა. ეს ფერმენტები ზემოქმედებენ ჩაის წარმოების პროცესებზე, მონაწილეობენ მისი ძირითადი თვისებების - ნაყენის გემოს, არომატისა და ფერის ჩამოყალიბებაში.

ჩაის ფოთოლი შეიცავს ქლოროფილს 0,6-დან 0,86% (მშრალი ნივითერებაზე გადაანგარიშებით) აგრეთვე, კაროტინს და ქსანტოფილს. დაძველებულ ფოთლებში ქლოროფილი მეტია, ვიდრე ახალგაზრდაში. დადგენილია, რომ ქლოროფილის არასაკმარისად დაშლა შავი ჩაის დამზადებისას აქვეითებს მის ხარისხს - ნაყენი იღებს მომწვანო ფერს და ბალანსის მაგვარ გემოს.

ჩაის ფოთოლი შეიცავს მჟავებს: მჟაუნის, ლიმონის, ვაშლის, ქარვის და სხვა, სულ 1%-მდე. ჩაის ფოთლის გადამუშავებისას მჟავები შედიან რეაქციაში სპირტებთან რთული ეთერების წარმოქმნით.

ვიტამინები გვხვდება მწვანე ჩაის ფოთოლში. შავი ჩაი ვიტამინ C-ს შეიცავს 5-იდან 20 მგ-მდე, 100 გრ მშრალი ნივთითე-

რებაზე გადაანგარიშებთ. მწვანე ჩაი შეიცავს ვიტამინი P-ს 20000 მგ 100 გრ პროდუქტში, ხოლო 10000 მგ. შავ ჩაიში ნაპოვნია რიგი ვიტამინებისა, რომლებიც მთლიანად შეითვისება ადამიანის ორგანიზმის მიერ. მათი შემადგენლობა: (მგ, 1 კგ, მშრალ ჩაიზე) მოცემულია ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2

№	ნივთიერებები	შემცველობა მგ.1/კგ მშრალ ჩაიში
1	ალდეჰიდები	1,79
2	მუავები	6,04
3	ფენოლები	7,10
4	B ₁ (თიამინი)	0,3-10
5	B ₂ (რიბოფლავინი)	6-11
6	ფუძები	7,70
7	ნეიტრალური ზეთები	51,60
8	სხვა ნივთიერებები	26,31
9	PP (ნიკოტინის მუავა)	54-152
10	პანტოტენის მუავა	14-40

ნაცრის ელემენტები - მწვანე ჩაის ფოთოლში და მზა სასმელში შეადგენს-4-7% (მშრალი ნივთიერებაზე გადაანგარიშებით). ნაცრის შემცველობა მერყეობს ჩაის ხარისხის მიხედვით. დაბალ ხარისხის ჩაიში ჩვეულებრივ მეტია ვიდრე უმაღლესში. ნაცრის შემადგენლობაში ჭარბობს კალიუმის (50%-მდე), ფოსფორის, კალციუმის მაგნიუმის მუავები. მცირე რაოდენობით რკინა და მარგანეცი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს უანგვით პროცესებში. ჩაის საუკეთესო ხარისხში ვიტამინები Ca და P მეტია, ვიდრე დაბალ ხარისხში.

დიდი მნიშვნელობა აქვთ ზოგადად ხსნად ექსტრაქტულ ნივთიერებებს, რომელნიც მნიშვნელოვანნილად განაპირობე-

ბენ ჩაის ხარისხს. ჩაის ექსტრაქტული ნივთიერებანი შეადგენენ იმ ნივთიერებების ჯამს, რომელიც გადადიან ნაყენში.

ექსტრაქტული ნივთიერებების საშუალო რაოდენობაა 40,9%, ჩინურში 37,6, ქართულში-34%. ჩაის ხარისხს ძირითადად განაპირობებს ნაყენის ექსტრაქტულობა. ჩვეულებრივ, მაღალი ხარისხისა მეტად ექსტრაქტულია, ვიდრე დაბალი. ნაყენის ექსტრაქტული ნივთიერებების კოფეინისა და ტანინის შემცველობა მოცემულია ცხრილში 3-ში.

ექსტრაქტული ნივთიერებების, კოფეინისა და ტანინის შემცველობა ჩაიში

ცხრილი 3

№	ჩაის დასახელება და ხარისხი	წყალი	ექსტრაქტული ნივთიერება	კოფეინი	ტანინი
1	დარჯილინგი, უმაღლესი	3,6	43,24	3,85	12,01
2	დარჯილინგი, საშუალო	5,68	43,74	4,16	12,64
3	ასამი, უმაღლესი	6,61	47,52	2,78	13,21
4	ასამი, საშუალო	6,10	39,77	3,35	11,14
5	კაჩარი, უდაბლესი	7,87	41,04	3,59	11,70
6	ფუარსი, უმაღლესი	6,03	47,87	5,24	13,63
7	ნილგირი საშუალო	5,69	42,21	3,04	11,38
8	ტრავანკერი, უმაღლესი	6,36	43,41	2,93	11,92
9	ტეილონი, უმაღლესი	6,09	45,31	2,44	11,93
10	ტეილონი, საშუალო	7,12	41,72	2,55	10,18
11	დასავლეთ ჩინეთი, სიჩუანი, უმაღლესი	7,16	38,51	3,88	11,16
12	ჩიდილო ჩინეთი, უდაბლესი	6,9	39,32	2,90	8,58
13	სამხრეთ -დასავლეთი ჩინეთი, იუნანი	6,51	42,81	4,16	12,24
14	იავა, უმაღლესი	6,48	41,50	3,62	11,27
15	იავა საშუალო	7,11	41,40	3,42	10,07

ცხრილში მოტანილია მხოლოდ B.O.P. (Broken Orange Pekoe) ჩაის მონაცემები

თავი II

ჩაის ნახევარფაზის დახარისხების პროცესების პლანი

ჩაის ფოთლის ხარისხის გაუარესებამ გამოიწვია ჩაის ნახევარფაზის ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცემა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ჩაის მზა პროდუქციაზე. ჩაის ნახევარფაზის მიზანი იმატა როგორც ორგანული, ისე არაორგანული შემადგენლობის სხვადასხვა ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მქონე გარეშე მინარევებმა. ხოლო ჩაის არაკონდიციურმა და უხეშმა ფოთოლმა ჩაის ნახევარფაზის კატეგორია ჩაის ჯოხების, ღეროებისა და ბუსუსების რაოდენობა, რამაც გამოიწვია ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის გაუარესება.

აღნიშნულმა მოვლენებმა სპეციალისტების წინაშე და-აყენა ჩაის დახარისხების პროცესების დამატებითი შესწავლისა და კვლევის აუცილებლობა. ახალი ტექნიკისა და ტექ-ნოლოგიური მანქანა დანადგარების გამოყენებით და ჩაის დახარისხების ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით.

ჩაის მრეწველობის წინაშე დასმულმა ხარისხის ამაღლების საკითხებმა, გარდა სანედლეულო ბაზისა, აქცენტი გადაიტანა ჩაის ნახევარფაზის თერმული დამუშავებისა და დახარისხების ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაზე.

ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტს მრავალი წლის განმავლობაში დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული ჩაის შესწავლის საქმეში. კერძოდ, აკადემიკოსების ა. ოპარინის და ა. კურსანოვის ხელმძღვანელობით. აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საფუძველზე შეიქმნა ჩაის მრეწველობის ბიოქიმიის ძირითადი თეორია, რომლის ბაზაზე დამუშავდა და პრაქტიკულად დანერგილი იქნა ტექნოლოგიუ-

რი პროცესების კონტროლის ობიექტური მეთოდები. მრეწველობის წინაშე დაისახა ახალი, გაუმჯობესებული ინოვაციური ტექნოლოგიების ჩამოყალიბება, სამამულო წარმოების ჩაის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ხანგრძლივად შენახვის დროს ხარისხის მყარი შენარჩუნებით. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. მ. ბოკუჩავაშვილი დამუშავების ახალი თეორია, რომელშიც გათვალისწინებული იქნა შავი ბაიხის ჩაის წარმოების კლასიკური ტექნოლოგიის შემდეგი ნაკლოვანებანი. ცნობილია, რომ:

1. ჩაის გრეხის დამთავრების შემდეგ დაუშლელი უჯრედების რაოდენობა აღწევს 20-25%-ს. გამომდინარე აქედან, დაუშლელ უჯრედებში ქიმიური ნივთიერებანი ფერმენტაციის დროს არავითარ სასარგებლო გარდაქმნას არ განიცდის, რის გამოც ჩაის მზა პროდუქციის ხარისხისათვის იგი გამოუყენებელი რჩება;

2. ჩაის ფერმენტაციის მეორე ფაზაში დაუანგვითი პროცესები მიმდინარეობს სწრაფად და საფერმენტაციო ყუთებში მოთავსებული მოგრეხილი ფოთლის ფენის სიღრმის მიხედვით არათანაბრად, რაც იწვევს სასარგებლო ქიმიური ნივთიერებების - კატეხინების და ტანინების დაკარგვას;

3. მზა ჩაიში ხსნადი ტანინების შემცველობა, მისი უხსნად მდგომარეობაში გადასვლის გამო, შეადგენს 50%-ს, ამის გამო ჩაის ნაყენი დაბალექსტრაქტულია;

4. ჩაის ხმობის დროს იკარგება ეთეროვანი ზეთების მნივშნელოვანი ნაწილი, რის გამოც მიღებული ჩაის ნახევარფაბრიკატი ნაკლები სურნელებით ხასიათდება;

5. არსებული ტექნოლოგიით მიღებული შავი ბაიხის ჩაი მაღალი ძველდება, რაც აიხსნება ტანინის ნაკლები შემადგენ-

ლობით და 20-25% ხსნადი ტანინის დაუშლელი უჯრედების შემცველობით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინ-სტიტუტის მიერ უკანასკნელ წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე, პროფ. მ. ბოკუჩავამ დაადგინა, რომ ჩაის გრეხის პროცესში დაუშლელი უჯრედების დამუშავება შესაძლებელია თერმულად. ამისათვის ნაწილობრივად დაუფერმენტებელი ჩაი გახმობის შემდეგ 4-5 საათის განმავლობაში უნდა მოთავსდეს თერმოკამერაში, სადაც ტემპერატურა 60-70%-ია. ეს საშუალებას იძლევა, რაციონალურად ვარეგულიროთ ბიოქიმიური გარდაქმნები, რითაც უნდა გაუმჯობესდეს ჩაის ხარისხი, მისი გემო და არომატი.

თერმული დამუშავების დროს ნახევარფაბრიკატში თანაბრად ნაწილდება ტენი და სითბო, რაც სრულყოფილად წარმართავს და ამთავრებს დაუანგვით პროცესებს ყველა უჯრედში, რითაც შესაძლებელი ხდება ნედლეულში არსებული ყველა ქიმიური ნივთიერების გამოყენება და არომატის გაძლიერება.

ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების პრინციპების და მეთოდიკის შესწავლის დარგში გასული წლების განმავლობაში სასარგებლო მუშაობა ჩატარდა ანასეულის ჩაის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დოც. ე. ეჯიბიას მიერ. შესწავლილ იქნა პაიზის ჩაის ნახევარფაბრიკატების ფიზიკურ-მექანიკური და გრანულომეტრული თვისებები. მათ შორის: დადგინდა ჩაის ნაწილაკების ზომითი ანუ გეომეტრიული დახასიათება, ჩაის შემადგენელ ნაწილაკთა კუთრი წონა, მოცულობითი წონა, ჩაის ფრაქციებისა და მზა მასალის გადალუნვისა და ტეხვის კრიტიკული კუთხეები და ნერტილები, დადგინდა შიგა ხახუნის კოეფიციენტები, სხვა-

დასხვა მასალასთან ურთიერთობის დროს, მ.შ. ხაოიან, ნაქ-სოვ მეტალური წარმოშობის დამხარისხებელ ბადეებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მჭრელი, დამხარისხებელი და გამამდიდრებელი მანქანები ბაიხის ჩაის ხარისხს აუმჯობესებს. ამასთანავე, ახალი ტიპის მანქანების გემოყენებით შესაძლებელია ბაიხის ჩაის ხარისხების პროცესის გადაყვანა ნაკადურ მექანიზებულ ხაზზე. დოც. ლ. ვ. ეჯიბიას მიერ ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგების საფუძველზე წარმოდგენილი იქნა ჩაის ნახევარფაბრიკატის შენახვისა და დახარისხების რაციონლარუი სქემა, ახალი ტიპისა და კონსტრუქციის ჩაის სამსხვრევი მანქანის გამოყენებით. ამ სისტემის მიხედვით მშრალი ჩაის III მსხვილი ფრაქცია ჩაის სახმობი მანქანის შემდეგ უშუალოდ მიწოდება ახალი კონსტრუქციის ჩაის სამსხვრევ აპარატს, ხოლო შემდეგ მიდის დახარისხებისათვის მრავალიარუსიან დამხარისხებელ მანქანაზე ან ჩაის ნახევარფაბრიკატის შემნახველ ბელელში შესანახად.

ჩაის ხარისხის ამაღლებაში აღნიშნული კვლევები აქტუალური და აუცილებელი შეიქმნა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების მრეწველობის მანქანა-აპარატების კათედრაზე დოცენტ ზ. ჯაფარიძის, ზ. ფარესიშვილის და ავტორთა ჯგუფის, მიერ შეიქმნა ახალი ტიპის ჩაის მტები და ჯოხების გამომცლელე მანქანა (რომელიც დაცული იქნა №A.C.990172 საავტორო მოწმობით გამოგონებაზე), თუმცა გარეშე მინარევებისა და ბუსუსების გამოცლა ჩაის ნახევარფაბრიკატიდან კვლავ პრობლემის წინაშე დადგა. განავითარეს რა მიღებული შედეგები, დოც. ზ. ჯაფარიძისა და ზ. ფარესიშვილის მიერ შეიქმნა პრინციპიალურად ახალი ტიპის ვიბროპნევმატური დამხარისხებელ-გამამდიდრებელი მანქანა (რომელიც ასევე დაცული იქნა №A.C.860741 საავტორო მოწმობით გამოგონებაზე).

ჩაის ნახევარფაპრიკატის დახარისხების ტექნოლოგიური სქემები

ჩაის ფაპრიკების მიერ გამოშვებული მზა პროდუქცია იყოფა სამ ჯგუფად, რომებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან შედგენილობით და ჩაის გრანულომეტრული ზომებით.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ფოთლოვანი ჩაი (მთლიანად ნაზი ფოთლებით), მეორეს ჯგუფს - წვრილად დაჭრილი ფოთლი, ხოლო მესამე - ჯგუფს უფრო წვრილად დაჭრილი, ანუ ნამცეცები, გამონაცერი და ნაცხრილი ე.ნ. ფხვნილი. ნამცეცები და ნაცხრილი ჩაი გამოიყენება ფილა ჩაის ნარმოებისათვის. თითოეული ჯგუფის შემადგენლობაში შედის რიგი საფაპრიკო სტანდარტები, რომებიც თავის გარეგნული სახით უნდა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ ჯგუფების ეტალონებს.

დახარისხება იმიტომ არის საჭირო, რომ ერთნაირი თვისებების მქონე ჩაის ნახევარფაპრიკატის პარტიებისაგან მიღებულ იქნეს საფაპრიკო სტანდარტები. საფაპრიკო სტანდარტები თავისი არომატით, გემოთი და ნაყენით მიეკუთვნება ამა თუ იმ ხარისხს.

ჩაის ნახევარფაპრიკატის დახარისხება მექანიკური პროცესია; ამ დროს ცალკეული ფრაქციების ნაზი და უხეში ნაწილაკების ერთიმეორისაგან განცალკევებით ჩაის პროდუქცია დაიყვანება საფაპრიკო სტანდარტებამდე.

ჩაის ნახევარფაპრიკატი დამხარისხებელ მანქანაზე შეიძლება გავატაროთ ერთხელ ან ორჯერ. გატარების ჯერადობა დამოკიდებულია სტანდარტული ჩაის სახეობის მიღებაზე. აღნიშნულ საკითხებს ჩაის ნარმოების პირველადი გადამუშავების ფაპრიკებში კონტროლს უწევენ:

1. ბიოქიმიური ლაბორატორიები, რომლებიც ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავენ ღნობის, გრეხის და ფერმენტაციის ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობას;

2. ფაბრიკის ტიტესტერები, გადამუშავებული ნახევარფაბრიკატისა და მზა ჩაის ნიმუშების დეგუსტაციით საზღვრავენ ხარისხიანობას, მითითებას აძლევენ წარმოებას გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების ნაკლოვანებებზე.

3. გარდა ამისა, ჩაის ფაბრიკებში მოქმედებს ჩაის ფოთლის პასპორტიზაცია. ეს საშუალებას იძლევა, შემონმდეს მთელი ტექნოლოგიური პროცესის ციკლი, დაწყებული ჩაის მწვანე ფოთლის მიღებიდან, დამთავრებული ჩაის ნახევარფაბრიკატით.

ნახ. 2-ზე მოცემულია ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების ძეგლი ტექნოლოგიური სქემა, რომელიც მოქმედებდა 1962 წლამდე. აღნიშნული სქემა ითვალისწინებდა შემდეგ პროცესებს: ხმობის შედეგად მიღებული ჩაის ნახევარფაბრიკატი შესაბამისი I-II-III ფრაქციების მიხედვით ინახებოდა ჩაის ნახევარფაბრიკატის შემნახველ სათავსოში, ე.წ. ბელელში (1), ნაბნევის სახით, ხოლო შეტანისა და გამოტანის პროცესი ხდებოდა ხელით, ნიჩებისა და ტომრების მეშვეობით. ჩაის ნახევარფაბრიკატის - III ფრაქცია ხარისხდებოდა „სიროკოს“ ფირმის ცილინდრულ დამხარისხებელ მანქანაზე (2).

1962-1967 წლებში მოქმედება დაიწყო ჩაის დახარისხების ახალმა ტექნოლოგიურმა სქემამ, რომელიც იყოფოდა ორ ნაწილად ნახ. 3 –ნაწილი I და ნახ. 4 –ნაწილი II.

ჩაის დახარისხების ტექნოლოგიური სქემის პირველი ნაწილი ნახ. 3 აღარ ითვალისწინებდა „სიროკოს“ ფირმის დამხარისხებელი მანქანის გამოყენებას და ჩაის ნახევარფაბრიკატის I-II ფრაქცია ხარისხდებობა პირდაპირ ბრტყელ

„მაჯიკის“ ტიპის დამხარისხებელ მანქანაზე. აღნიშნულ მანქანებზე გამოხარისხებული მსხვილი ფრაქციები დამატებით განიცდიდნენ ჭრას და ხელმეორედ დახარისხებას, რამაც გაზარდა წვრილი ჩაის გამოშვება.

ჩაის დახარისხების ტექნოლოგიური სქემის მეორე ნაწილშიც გამოირიცხა ცილინდრული დამხარისხებელი მანქანა, თუმცა ამ სქემით მუშავდებოდა ჩაის ნახევარფაბრიკატის მსხვილი - III ფრაქცია, რომელიც ბელელიდან პირდაპირ მიემართებოდა ჩაის მჭრელ მანქანაზე, ხოლო დაჭრილი ჩაის ნახევარფაბრიკატი ხარისხდებოდა ასევე ბრტყელ დამხარისხებელ მანქანა „მაჯიკზე“. ჭრა დახარისხების პროცესი მეორდებოდა, რის შემდეგ ხდებოდა საფაბრიკო სტანდარტების მიღება.

შედარებით მსხვილი ფრაქცია ანუ გამოუხარისხებელი ჩაის ნახევარფაბრიკატი კვლავ იჭრებოდა მეორე მჭრელ მანქანაზე, რომლის მჭრელი კბილების მოდული განსხვავდებოდა პირველი მჭრელის კბილებისაგან. დაჭრილი ჩაი დასახარისხებლად გადაეცემოდა „მაჯიკის“ ფირმის დამხარისხებელ მანქანაზე (3), ორივე მანქანაზე დახარისხებული ჩაის ნახევარფაბრიკატის მსხვილი ფრაქცია, იჭრებოდა ჩაის საჭრელ მანქანაზე (4), მიღებული პროდუცქიი იყოფოდა საფაბრიკო სტანდარტებად და კუპაჟდებოდა საკუპაჟე დოლში (5).

დაკუპაჟებული პროდუქცია თავსდებოდა სპეციალურ ტარა შესაფუთ ფანერის ყუთებში (6), რის შემდეგ გადაეცემოდა ჩაის მზა პროდუქციის დამბეკნ მანქანას (7), დასაპენად. ჩაის ნახევარფაბრიკატი აწონვის (8), შემდეგ გადაეცემოდა მზა პროდუქციის საწყობს (9), და ავტომანქანების (10), მეშვეობით ტრანსპორტირდებოდა დანიშნულებისამებრ.

გასული საუკუნის 60-იან წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩაის ხარისხის ამაღლებას. გამომდინარე აქედან, დაისვა საკითხი ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების ტექნოლოგიური სქემის გაუმჯობესებაზე, რაც

ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო ჩაის ხარისხის ამაღლებისთვის.

1965-1967 წლებში ჩაის მრეწველობის საწარმოებში მიმდინარეობს ჩაის ნახევარფაბრიკატის კომპინირებული დამხარისხებელი მანქანის „კომპაინის“ გამოცდა და დანერგვა, რამაც რადიკალურად შეცვალა ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების ტექნოლოგიური ციკლი და სქემა ნახ. 5, გამოანთავისუფლა რა დაბალწარმადობიანი ტექნოლოგიური მანქანა დანადგარები, გამარტივდა თვით ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების სქემაც.

ზემო მოყვანილ სქემებს ნახ. 3; 4; ახასიათებდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, სახელდობრ:

1. იმისათვის, რომ ნახევარფაბრიკატი დაყვანილი ყოფილიყო საფაბრიკი სტანდარტამდე, საჭირო იყო მისი დახარისხება რამდენიმე მანქანაზე, ხოლო ნაწილი ჩაი განმეორებით ტარდებოდა „მაჯიკის“ ტიპის ბრტყელ დამხარისხებელ მანქანაზე;

2. დახარისხების ტექნოლოგიური პროცესი მოითხოვდა დიდ საწარმოო ფართს.


3. ჩაის ნახევარფაბრიკატი დამხარისხებელ ბადეებზე ხშირი გატარებით იღებდა რუხ ფერს, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მზა პროდუქციის ხარისხზე;

4. ჩაის დატვირთვა-გადმოტვირთა დამხარისხებელ მანქანებზე ხდებოდა ხელით, ნიჩბებითა და აქანდაზებით.


5. ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები მოითხოვდა დიდი რაოდენობით მუშახელს (დაახლოებით 40-45% ფაბრიკის საერთო პერსონალიდან).

ყოველივე ამის გამო, დაისვა საკითხი, შექმნილიყო დახარისხების პროცესის მარტივი ტექნოლოგიური სქემა, რომელიც შეასრულებდა დახარისხების ყველა ოპერაციას და შეცვლიდა მანამდე არსებულ ყველა დამხარისხებელ მანქანას.


ჩაის ნახევარფაბრიკატის
ფრაქციები




ნახ. 2. 1962 წლამდე მომქმედი, ჩაის ნახევარფაბრიკტის
დახარისხების ტექნოლოგიური სქემა



ნახ. 3. ჩაის ნახევარფაბრიკატის I-II ფრაქციის
 დახარისხების ტექნოლოგიური სქემა (პირველი ნაწილი)



ნახ.4. ჩაის ნახევარფაბრიკატის - III -ფრაქციის
დახარისხების ტექნოლოგიური სქემა (მეორე ნაწილი)



ნახ. 5. ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების
ტექნოლოგიური სქემა დამხარისხებელი მანქანა
„კომბაინის“ გამოყენებით

**ჩაის ნახევარფაპრიკატის შენახვის,
გამოენდა-გამდიდრებისა და დახარისხების ახა-
ლი ტექნოლოგიური სეიმა**

როგორც აღვნიშნეთ, ჩაის ნახევარფაპრიკატის დახა-
რისხების ტექნოლოგიური სქემები არ იყო სრულყოფილი,
გარდა აღნიშნულისა, მათ ჰქონდათ დამატებით, მთელი რიგი
ხარვეზები, მათ შორის:

1. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაბალი დონე;
2. ჩაის ნახევარფაპრიკატში არსებული, ორგანული და
არაორგანული გარეშე მინარევებისაგან გაწმენდა-გამდიდ-
რების სისტემების არასაკმარისი ეფექტურობა.
3. ფრაქციებად დაყოფილი ჩაის ნახევარფაპრიკატის
ბუნებრული შენახვისა და ბუნკერ-დოზატორებით მექანიზი-
რებული მიწოდების სისტემების უქონლობა.
4. დახარისხების ციკლში პროდუქციის, გადაადგილე-
ბის და შენახვის ხელით შრომით გამოწვეული მექანიკური
დაზიანება.
5. საფაპრიკო სტანდარტებად დახარისხებული ჩაის
ფრაქციების შენახვის მექანიზირებული სათავსების უქონ-
ლობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მკვეთრად აუარესებდა
ჩაის მზა პროდუქციის ხარისხს. ჩაის დახარისხების პროცე-
სების კვლევამ მთლიანად შეცვალა ჩაის ნახევარფაპრიკა-
ტის დახარისხების ტექნოლოგიური სქემა. შეიქმნა ჩაის ნა-
ხევარფაპრიკატის შემნახველი სპეციალური მბრუნავძირია-
ნი ბუნკერები, სადაც ჩატვირთვა ხდება პნევმოტრანსპორ-
ტის და გამწმენდი ციკლონების მეშვეობით, ხოლო ჩაის გა-
მოტანა მაღალი მადოზირებელი ფრთხებიანი დოზატორებით. აღნიშ-
ნული პროცესი მთლიანად ავტომატიზებული და მექანიზე-
ბულია.

ასევე, შეიქმნა ჩაის ნახევარფაბრიკატის, გარეშე მინა-რევებისგან გამწმენდ-გამამდიდრებელი მანქანა, რომელიც გარეშე მინარევების გარდა (ქვა, რკინა, ორგანული და არა-ორგანული მინარევები), პარალელურად, ჩაის ნახევარფაბ-რიკატს წმენდს ბუსუსებისგან, აცლის ჩაის ლეროებს და ჯო-ხებს.

1983 წელს წყალტუბოს ჩაის ფაბრიკაში დაწერგილი იქ-ნა ჩაის ნახევარფაბრიკატის შენახვის გაწმენდა-გამდიდრე-ბისა და დახარისხების ახალი ტექნოლოგიური სქემა. რომე-ლიც დაცულია საავტორო მოწმობით №942657 გამოგონება-ზე. ავტორი ზ. ფარესიშვილი.

ჩაის ნახევარფაბრიკატის შენახვის გაწმენდა-გამდიდ-რებისა და დახარისხების ახალი ტექნოლოგიური სქემა მო-ცემულია ნახ 6, რომელიც მოიცავს შემდეგ ტექნოლოგიურ პროცესებს.


ჩაის საშრობი ღუმელიდან გამოსული $65 - 70^{\circ}$ ტემპერა-ტურისა და $4 - 5\%$ ტენიანობის მქონე ჩაის ნახევარფაბრიკა-ტი, პირდაპირ მიეწოდება პევმოტრანსპორტის ხვიმინაში (1), ჰაერგამყოფი ციკლონი (2), და შემწოვი ვენტილატორის (3), მეშვეობით ჩადის ცილინდრულ ბუნკერში, შემდგომი და-ყოვნებისა და შენახვისათვის.

ჩაის ნახევარფაბრიკატის ბუნკერული შენახვის ერთ ერთი მთავარი დანიშნულებაა თერმული დამუშავება ანუ პნევმოტრანსპორტის მეშვეობით ჩაის ნახევარფაბრიკატის $65 - 70^{\circ} - t$ - ის დაყვანა $t = 15 - 18^{\circ}$ - დე და ტენიანობის შენარ-ჩუნება $6 \div 8\%$ - დე, რითაც თავიდან იქნა აცილებული ზედმე-ტი ტენისაგან ჩაის ნახევარფაბრიკატის გაფუჭება მისი მა-ღალი ჰიდროსკოპიულობის გამო (დაობება, შმორის სუნი), ხოლო ბუნკერში ტემპერატურის ბუნებრივი კლებით გამოწ-

ვეული თერმული დამუშავება ზრდის ჩაის ნახევარფაბრიკა-ტის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს (გემო, არომატი).

ჩაის ნახევარფაბრიკატი შენახვისა და თერმული დამუშავების შემდეგ სპეციალური მაღოზირებელი მოწყობილობების საშუალებით ლენტური ტრანსპორტირის (5), მეშვეობით გადაეცემა ვიბროპნევმატიკურ გამწმენდ-გამამდიდრებელ მანქანას (6), რომელიც კომპლექსურად კავშირშია ჩაის მტება და ჯოხების გამომცლელ დანადგართან (7), ეს პროცესი კომბინირებულია და შეიცავს ერთ ტექნოლოგიურ ციკლს. გაწმენდილი და გამდიდრებული ჩაის ნახევარფაბრიკატი მიეწოდება დამხარისხებელ მანქანა კომბაინს (8), ხოლო დახარისხებული და საფაბრიკო სტანდარტებამდე დაყვანილი ჩაი ინახება სპეციალურ ბუნკერ შემნახველში (9), ჩაის კუპაჟირება და პროდუქციის სახემდე დაყვანა ხდება სასინჯ ლაბორატორიაში და დამხარისხებელ ტიტესტერის მიერ შერჩეული რეცეპტურით საკუპაჟე დოლში (10), საიდანაც დაკუპაჟებული ჩაის მზა პროდუქცია იყრება ფანერის ყუთებში, რომლის მოცულობა შეადგენს 40 – 45 კგს და მიეწოდება საბეკნ მანქანას (11), დასაბეკნად. ფანერის ყუთებში (შესაძლებელი სპეციალური ტომრები) დაფასოებული მზა საფაბრიკო სტანდარტებამდე დაყვანილი ჩაი იწონება სასწორზე (12) და გადაეცემა მზა პროდუქციის საწყობ-საამ-ქროს (13).

ეს უნდობლად თევზაური მარტივი და განვითარებული სამარტინო მდგრადი სამუშაო არის.



თავი III

ჩაის ნახევარულფარისატის დამხარისხებელი და გადამამუშავებელი მანქანის ზოგადი მიმოხილვა

შავი და მწვანე ბაიხის ჩაის დახარისხება წარმოების ტექ-
ნოლოგიური პროცესის ერთ-ერთ ძირითად ოპერაციას წარ-
მოადგენს. დახარისხება შედგება შემდეგი ოპერაციებისაგან:

1. ნახევარფარიკატის ჭრა ჩაის სტანდარტული ნაწი-
ლაკების მისაღებად;

2. დახარისხება-დანაწილება, დაჭრილი ჩაის კლასიფი-
კაცია შემადგენელ ნაწილაკთა ხარისხობრივი და ზომითი
მაჩვენებლის მიხედვით;

3. საწარმოო ნარევის მიღება დახარისხებული მასიდან.

დახარისხების პროცესში ბაიხაოს ჩაი განიცდის გადაჭარ-
ბებულ მექანიკურ ზემოქმედებას; თუ ეს პროცესი საკმაოდ ხან-
გრძლივია, ადგილი აქვს ჩაის ნაწილაკების დაქუცმაცებას, დაწ-
ვრილმანებას. გარდა ამისა, ხანგრძლივი ხახუნის გამო ჩაი ზიან-
დება. ეს დაიზიანება ძირითადად გამოიხატება ჩაის ნაწილაკე-
ბის ზედაპირზე მყოფი წვენის მოცილებაში. ზედაპირული წვენი,
რომელიც განაპირობებს ჩაის ნაყენს, ფერს, გემოს და არომატს.
გარეგანი ძალების ზემომქედებით სცილდება ჩაის, გადადის
მტვერში და იკარგება, ამიტომ დამხარისხებელი მანქანებისათ-
ვის საჭიროა მუშაორებანოს ისე შერჩევა, რომ ჩაი რაც შეიძლება
ნაკლებად დავაზიანოთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ
ხმობის შემდეგ ჩაის უჯრედის წვენი ჩაის ნახევარფარიკატის
ზედაპირზეა, თხელი მყიფე აპკის სახით, რომელიც ადვილად
სცილდება მექანიკური ზემოქმედებით.

დახარისხების დროს ჩაის ნაწილაკები უფრო ნაკლებად
დაზიანდება, თუ სწორად იქნება შერჩეული თვით დახარისხე-
ბის პრინციპი და დამხარისხებელი მანქანის მუშაორები.

ჩაის ნახევარფაპრიკატის შემნახველი გუნდერ ღოზატორი

ჩაის ნახევარფაპრიკატი, განსაკუთრებით მსხვილი და-უჭრელი და ფოთლოვანი ფრაქციები, თავისი ფიზიკურ-მე-ქანიკური თვისებებით და გრანულომეტრული მახასიათებ-ლებით მიეკუთვნება ისეთ ფხვიერ მასალებს რომლებიც ერ-თმანეთთან მჯიდროდ არიან დაკავშირებული, ხახუნის მაღა-ლი კოეფიციენტის გამო. ასეთი პარამეტრების მქონე მასა-ლების შენახვა ბუნკერულ სისტემაში და განსაკუთრებით ოთხკუთხა ბუნკერებში იწვევს მათი თვითდინების პრაქტი-კულად შემცირებას და ბუნკერებში ჩაჭედვას. ასეთი მასა-ლების და კერძოდ ჩაის ნახევარფაპრიკატის თვითდინების შემცირება გამოწვეულია ჩაის ერთმანეთში შეჭიდულობისა და თაღის ნარმოქმნის გამო. გამომდინარე აქედან, ჩაის ნა-ხევარფაპრიკატის ბუნკერული სისტემით შენახვის პროცე-სები ჩაის მრეწველობაში წარუმატებელი იყო და მას ძირი-თადად ინახავდნენ ე.ნ. ბეღლებში, სადაც ჩატვირთვა-გან-ტვირთვისთვის სამუშაოები მიმდინარეობდა ხელით, ნიჩბე-ბის მეშვეობით, რაც მკვეთრად აუარესებდა ჩაის ხარისხს.

1965-70 წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტი-ტუტის ჩაის საპრობლემო ლაბორატორიაში პროფესორების ა. კაკალაშვილის, ნ. ზალდასტანიშვილის და გ. უვანიას ხელ-მძღვანელობით მიმდინარეობდა კვლევითი სამუშაოები ახა-ლი ტიპის ბუნკერების შესაქმნელად. მომდევნო წლებში გა-ნავითარეს რა ჩატარებული კვლევითი სამუშაოები, მეცნი-ერთა ჯგუფის (გ. უვანიას, ზ. ჯაფარიძის, ზ. ფარესიშვილის, დ. უღენტისა და ვ. კარპიხინის) მიერ დამუშავებული იქნა ახალი კონსტრუქციის ჩაის ნახევარფაპრიკატის შემნახველი ბუნკერ-დოზატორი ნახ. 7, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით №1054254 გამოგონებაზე. ბუნკერ-დოზატორმა


წარმატებით გაიარა საუნივერსიტატო შორისო გამოცდა და დაინერგა ჯერ წყალტუბოს ჩაის ფაბრიკაში, ხოლო შემდგომ ჩაის მრეწველობის სისტემაში.

ჩაის ნახევარფაბრიკატის შემნახველი ბუნკერ-დოზატორის პრინციპული სქემა მოცემულია ნახ. 8-ზე, მისი მუშაბის პრინციპი შემდეგია:

ბუნკერ-დოზატორის დანიშნულებაა ჩაის ნახევარფაბრიკატის შენახვა და დოზირებული მიწოდება დამხარისხებელი მანქანებზე იგი შედგება კორპუსის (1) და დისკური ძირისაგან, რომლესაც აქვს რადიალური განმტვირთი ღრეჩო (3), დაკავშირებული მრგვალი დამცლელ ხვრელთან (4), ბუნკერის დისკური ძირის (2) ცენტრალურ ნაწილში. დისკური ძირი (2), ეყრდნობა გორგოლაჭებიან მიმმართველს (5) და მოძრაობაში მოდის ელ. ძრავისა და გადამცემი ღვედური სისტემის ამძრავი მექანიზმით (6). დისკური ძირი (2), ქვეშ დაყენებულია მიმმართველი და დამყოვნებული კონუსური ძაბრი (7).


ღრეჩო (3), გარე კედელს (8), ეყრდნობა ცილინდრული კორპუსი (1), ქვედა ძირი. კორპუსი (1), შიგა კედელთან ახლოს დისკურ ძირზე (2), რადიალურად დამაგრებულია უძრავი ვერტიკალური ფილა (9), რომლის გვერდის კედელი (10), მდებარეობს მრგვალი დამცლელი ხვრელის (4), კედლის პირას.

ჩაის ნახევარფაბრიკატის შემნახველი ბუნკერი მუშაობს შემდეგი პრინციპით: ბუნკერის დისკური ძირი (2), რომელიც ეყრდნობა გორგოლაჭებიან მიმმართველებს (5) მოძრაობაში მოჰყავს ამძრავ მექანიზმს (6). დისკურ ძირზე (2) მოთავსებული დამცლელი ხვრელი (4) რომელიც გაერთიანებულია ღრეჩო (3)-თან შესაბამისად ასრულებს ბრუნვით მოძრაობას დისკურ ძირთან-(2) ერთად.



ნახ. 7 ჩაის ნახევარფაბრიკატის შემნახველი ბუნკერ –
დოზიტორი (წყალტუბოს ჩაის ფაბრიკის საბუნკერე
განყოფილება)

ბუნკერში მოთავსებული ჩაის ნახევარფაბრიკატის მიერ შექმნილი თაღი, წარმოიქმნება დამცლელი ხვრელის (4), თავზე. ხოლო თაღის გვერდები მიბჯენილია ბუნკერი (1), შიგა გვერდებზე და ეყრდნობა დისკურ ძირს. დისკური ძირის (2), ბრუნვის დროს მასზე დამაგრებული რადიალური უძრავი ფილა (9), შლის ჩაის ნახევარფაბრიკატის ძირს, რომელიც ეყრდნობა დისკური ძირის (2), ზედაპირს, ასევე შლის ჩაი ნახევარფაბრიკატის მიერ შექმნილ თაღის საყრდენებს, რაც უზრუნველყოფს თაღის თანაბარ ჩამოშლას და ჩაის ნახევარფაბრიკატი, რადიალურად განმტკირთი ღრეჩოს (3) და დამცლელი ხვრელის (4), მეშვეობით მიემართება დამყოვნებელ ძაბრისებურ-(კონუსურ) ბუნკერში (7), საიდანაც ჩაის ნახევარფაბრიკატი სპეციალური დოზატორის მეშვეობით დოზირებულად მიეწოდება ნახევარფაბრიკატის გამნმენდგამამდიდრებელ მანქანებზე.



ნახ.8. ჩაის ნახევარფაბრიკატის შემნახველი
ბუნეერ-დოზატორის პრინციპული სქემა

ჩაის ნახევარზეაპრიკატის გამოყენდა- გამამდიდრებელი ვიზუალიზაციური მანქანა

ვიბროპნევმატური დამხარისხებელი მანქანის მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია დასახარისხებელ მასაზე ერთდროულად მოქმედ მექანიკურ და პნევმატურ ძალებზე. დასახარისხებელ მასალაში ხდება ჩაის მასის განცალკევება შემადგენელ ნაწილებად მათი კუთრი წონის მიხედვით. ამ მანქანაზე მასალის დახარისხების ძირითადი ფაქტორებია შემადგენელი ნაწილების სიმკვრივე, მათი ზომები, ჰაერის ნაკადის კრიტიკული სიჩქარე და ა.შ.

ცნობილია, რომ ვიბროპნევმატური ბადეებიანი ჩარჩოს რხევისას მასში მოთავსებულ ერთგვაროვან ფხვიერ მასაში ხდება „დუღილის“ პროცესი და ნაწილაკების შინაგანი გადა-ადგილება: შედარებით მძიმე, ხვედრითი წონით განსხვავებული პატარა ზომის და დიდი სიმკრივის ნაწილაკები ჩაიძირება, ხოლო ნაკლებად მძიმე მსხვილები და მსუბუქი ზემოთ ამოტივტივდება. 9 ნახაზზე მოცემულია ვიბროპნევმატური გამწმენდ-გამამდიდრებელი მანქანის კონსტრუქციული ნაწილი, ხოლო ნახ. 10-ზე პრინციპული სქემა. აღნიშნული მანქანის სქემა და კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია ზ. ჯაფარიძისა და ზ. ფარესიშვილის მიერ და დაცულია საავტორო მოწმობით №860741 გამოგონებაზე.

მანქანის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში:


ჩაის ნეევარფაბრიკატი (1), დოზირებულად მიეწოდება მიმღებ ხვიმირას (2) და თანაბარი ფენისა და სიმაღლით ნაწილება ვიბროპნევმატურ გამწმენდ-გამამდიდრებელი მანქანის დეკაზე (3), რომელიც რხევით მოძრაობაში მოდის ექსცენტრიკული ამძრავი მექანიზმით (4) და დეკასა და ამძრავ მექანიზმს შორის დამაკავშირებელი მქნევარა (5) მექანიზმით.

დეკაზე ჰაერის მიწოდება ხდება დამჭირხნი ვენტილია-ტორით (7), საიდანაც ჰაერის ჭავლი მიემართება დეკაზე და-მაგრებულ ჰაერის გამანაწილებელზე (6). შერჩეული სიჩქა-რის მქონე ჰაერის ნაკადი გაივლის რა დეკას ზედაპირზე (3), რხევების შედეგად გაშლილი ჩაის ნახევარფაბრიკატის შრეს, იკრიბება ჰაერის შემკრებში. მასალის კუთრი წონიდან და ჰაერის ნაკადის კრიტიკული სიჩქარიდან გამომდინარე დე-კაზე ხდება პნევმოდახარისხება ანუ მსუბუქი ნაწილაკები (ბუსუსები და ჩაის მტვერი) გაიტყორცნებიან ჰაერის ნაკად-თან ერთად გამწმენ ციკლონში (8) და დაილექტებიან მინარე-ვების შემკრებში (9), II ფრაქციის სახით. ჩაის ნახევარფაბრი-კატისგან კუთრი წონით განსხვავებული მძიმე გარეშე მინა-რევები ილექტებიან დეკას ზედაპირზე და გამოიყოფა - I ფრაქციის სახით.


დაჯოხიანებული, თუმცა გარეშე მინარევებისაგან გან-მენდილი ჩაის ნახევარფაბრიკატის მასა III ფრაქციის სახით მიემართება ჯოხების გამომცლელ ვიბრო-დამხარისხებელ მანქანაზე. ამ დროს სწორად უნდა იქნას შერჩეული ჰაერის ნაკადი, რომელიც პირდაპირპროპორციული უნდა იყოს ჩაის აფრიანობის კოეფიციენტთან. ვიბროდამხარისხებელი მან-ქანის დეკა (10), დაღარულია გრძივი ღარებით, რომელიც იძ-ლევა საშუალებას ჩაის ნახევარფაბრიკატის გამდიდრება-დახარისხებისა ამ დროს ჯოხების გამოცლა ხდება გრძივი მეთოდით, სადაც ჩაის ნახევარფაბრიკატის მასა მიემართება ჯოხების გამომცლელ ორეჩოსკენ (11), მოკლე ჯოხები ჩაცვივდება ორეჩოში, ხოლო შედარებით გრძელი ჩაის ნახე-ვარფაბრიკატი გადაივლის ორეჩოს (11) და გადავა მოკლე ვიბრაციულ დეკაზე (12), სადაც დამატებით ხდება გეომეტ-რიული ზომით განსხვავებული ჯოხების გამოცლა IV ფრაქ-ციის სახით, ხოლო ჩაის ნახევარფაბრიკატი მიემართება მიმ-მართველისკენ (13), და მტეხი დოლებისკენ (14-15) სადაც

დოლის ერთი ლილვი (14), განივი მტეხი კბილანებით არის დაფარული, ხოლო მეორე ლილვი (15), რეზინის ზედაპირით.

დადგენილია, რომ ჩაის ნახევარფაბრიკატის ტეხნის კრიტიკული წერტილი ბევრად დაბალია ვიდრე ჯოხების, რომლებიც შედარებით მაღალი ტენიუნობით ხასიათდებიან $t=12\div 15\%$ და აქვთ ელსატიკურობაც, ამიტომ მტეხ ლილვებში გავლილი ჩაის ნახევარფაბრიკატი იმტვრევა პატარა ნაწილაკებად, რომლის გეომეტრიული ზომა ამ შემთხვევაში მცირეა ჯოხების ზომებზე. დამტვრეული ჩაის ნახევარფაბრიკატი მიმმართველის (16), მეშვეობით მიეწოდება ასევე გრძივლარებიან და განივლრეჩოებიან დეკას (10, 11, 12). თუ მტეხის კვანძის პირველ დეკაზე (10-12), ხდებოდა ჩაის ნახევარფაბრიკატიდან ჯოხების გამოცლა, მტეხ ლილვებში (14-15) ჩაის ნახევარფაბრიკატის გავლის შემდეგ ხდება უკვე დაკალიბრებული ჩაის გამოცლა ჯოხებისაგან V ფრაქციის სახით, ხოლო დაჯოხიანებული და დაუხარისხებული ჩაის ნახევარფაბრიკატი შემდგომ უკვე ჭრისას გამოიყოფა VI ფრაქციის სახით.



ნახ. 9. ჩაის ნახევარფაბრიკატის
ვიბროპნევმატური გამწმენდ-გამამდიდრებელი მანქანა



ნახ. 10. ვიბროპნევმატური გამწმენდ-გამამდიდრებელი
მანქანის პრინციპული სქემა

ჩაის ნახევარზაპრიკატის მფრელი და ლეროს მომცლელი მანქანა „პატემანი“ (ფირმა „მარშალი“)


მანქანის დანიშნულებაა ჩაის დაჭრა საჭირო ზომებზე
და ლეროების მოცილება. ლეროებიანი ჩაი თანაბარი ნაკა-
დით გადადის თუჯის მბრუნავ ლილვაკებზე, რომელთაც
აქვთ გარკვეული ზომის ღია უჯრედები; შედარებით მცირე
ზომის ჩაის ნაწილაკები ამ უჯრედებში ჩაცვივდება და გადის
მანქანიდან დაჭრის გარეშე ნახ. 11.

შედარებით მსხვილი ჩაის დაქუცმაცება ხდება წყვილ
ლილვაკებს შორის სპეციალური ბრტყელი დანების საშუალე-
ბით, რომელიც განლაგებული არიან ლილვაკების გასწვრივ.
დანები მაგრდებიან, ჭანჭიკებით ისე, რომ შეიძლება მათი გა-
დაადგილება, რაც საშუალებას იძლევა, შევცვალოთ ლილვაკ-
სა და დანას შორის ღრეჩოები და ამით ჩაის დაჭრის ზომაც.
მსხვილი უხეში ლეროები გადაადგილდებიან ლილვაკებზე ზე-
მოდან და გამოიყრებიან მანქანის წინა ღარით ცალკე.

ჩაის მიწოდების რეგულირება ისე უნდა მოხდეს, რომ
მანქანის პირველი განყოფილება ყოველთვის იყოს სავსე.
შემდგომი ჩატვირთა ავტომატურად რეგულირდება გამანა-
ნილებელი ძგიდებით. მანქანა ჰერმეტულად არის დახურუ-
ლი და მტვერს არ ატარებს.

მანქანის ტექნიკური დახასიათება:

1. ლილვაკების ნახვრეტების დიამეტრი 4,8 -5,6 მმ.
2. მწარმოებლობა კგ/სთ-180
3. უჯრედებიანი ლილვაკების რაოდენობა 6
4. ლილვაკების ბრუნთა რიცხვი -40 ბრ/წთ.
5. მუშა საღვედე ბორბალზე არსებობს ავტომატური
გამომრთველი მოწყობილობა.



ნახ. 11. ჩაის მჭრელი და ღეროს
მომცლელი მანქანა „ბატემანი“ (ფირმა „მარშალი“)

ჩაის ნახევარფაპრიკატის დამხარისხებელი მანქანა „კომპაინი“

დამხარისხებელი მანქანა „კომპაინი“ თანმიმდევრულად ასრულებს ჩაის ნახევარფაპრიკატის დახარისხების თითქმის ყველა ტექნოლოგიურ პროცესს. პირველი დაჭრა-დახარისხება, მეორე დაჭრა-დახარისხება და ჩაის ნახევარფაპრიკატის საფაპრიკო სტანდარტებამდე დაყვანის ციკლი სრულდება მექანიზებულად. ჩაის ნახევარფაპრიკატის დახარისხების ტექნოლოგიური სქემა, რომელიც სრულდება დამხარისხებელი მანქანა „კომპაინზე“, მოყვანილია ნახ. 12-ზე;

დასახარისხებელი განმენდილ-გამდიდრებული ჩაის ნახევარფაპრიკატი მადოზირებელი ხვიმირისა და ელევატორის მეშვეობით გარკვეული ულუფებით მიეწოდება ჩაის პირველ მჭრელს.


ჩაის პირველ მჭრელზე ორივე მჭრელი ბადროს ლილვაკი ერთნაირად ბრუნავს, რაც უზრუნველყოფს ჩაის მსუბუქად დაჭრას, ეს საშუალებას იძლევა, პირველ იარუსის საცრებზე გატარებით საერთო მასიდან გამოიყოს ჩაის შედარებით უფრო ნაზი ნაწილაკები. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუცქიის ხარისხისათვის. დაჭრილი ჩაი ელევატორით მიეწოდება | იარუსის A დამხარისხებელ ბადეებიან ჩარჩოს. II, IV, V, VI ღარებში გამოსულ ბადეებში გაცრილი ჩაი მიიჩნევა მზა პროდუქტად და სათანადო მიღსადენით მიეწოდება ცალკეულ სათავსებს.

№22 ბადეზე მიღბული გაუცრელი ჩაი I და III ღარების საშუალებით მიედინება განმეორებითი დახარისხებისათვის მეორე იარუსის დამხარისხებელ ჩარჩოებზე (სქემაზე ისრებითაა ნაჩვენები).

მსხვილი ნაწილაკები I იარუსის ბოლოდან ღარების საშუალებით გადადის ჩაის მეორე მჭრელ მანქანაზე ყP₂-ზე, სადაც უფრო ინტენსიურად იჭრება, ვიდრე ყP₁-ზე, რისთვისაც მჭრელ ლილვებს აქვს ბრუნთა სხვადასხვა რიცხვი (175-350 ბრ/ნთ). დაჭრილი ჩაი შემდეგ მიენდება II იარუსის B დამხარისხებელ ჩარჩოებზე, გაივლის რა პირველ ნაკვეთურზე მოთავსებულ №№22,44 და №№16,22 ბადეებზე, გაიცრება წვრილი ნამცეცებად. ამ ბადეებზე მიიღებული ჩაის ნამცეცი, გამოიყენება ფილა ჩაის დასამზადებლად. ბადეებში გაცრილი ჩაი მიიჩნევა მზა პროდუქტად კუპაჟისათვის. ყველაზე მსხვილი გაუცრელი ნამცეცები ჩაიყრება პნევმოტრანსპორტიორის ხვიმირში, რომლის საშუალებითაც მიენდება ჩაის მესამე მჭრელზე ყP₃-ზე, რომლის ლილვებს აქვს I=1/3 გადაცემა, შემდეგ ჩაი გაივლის II იარუსის დამხარისხებელ ჩარჩოებს, სადაც ანალოგიურად სხვა ჩარჩოებისა, გაიცრება №№16,22 ბადეებზე, ხოლო ნამცეცი №44-ზე. ამრიგად „კომბაინზე“ ჩაის ნახევარფაბრიკატის გატარების შედეგად მიიღება ჩაის 16 მზა ნომერი, რომელიც გამოიყენება ნარევის შესადგენად.

II იარუსის უკანასკნელ B საცრიდან მიღებული მსხვილი ფრაქციები საჭიროებენ ხელმეორედ გატარებას, ასეთი ფრაქციები საშუალოდ 20-25%-ს შეადგენს. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ფრაქციებში გაცილებით მეტია გაუხეშებული და უხეში ფოთოლი, მეორედ დახარისხებაზე გაშვებამდე, სასურველია, ისინი გატარდეს ღეროგამცლელ მანქანაზე ან გამამდიდრებელ მანქანა CП-1,5-ზე და გამნიავებელზე.

ნახაზ 13-ზე მოცემულია დამხარისხებელი მანქანა „კომბაინის“ კინემატიკური სქემა აქსიონმეტრიაში, რომლის მუშაობის პრინციპი მდგმოარეობს შემდეგში:




ნახ. 12. ნახევარფაბრიკატის დახარისხების სქემა
დამხარისხებელ მანქანა „კომპაინზე“

დასახარისხებელი ჩაის ნახევარფაბრიკატი მიეწოდება ვიბროპნევმატიური გამწმენდი გამამდიდრებელი მანქანის მაგიდის, დეკას (1), რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ელ. ძრავს (2), სოლლვედური გადაცემისა და მუხლა ლილვის მეშვეობით. აღნიშნულ ძრავს ასევე სოლლვედური გადაცემით მოძრაობაში მოჰყავს დამჭირხნი ვენტილატორი (3), რომელიც ჰაერსადენი მიმმართველით (4), მიერთებულია ვიბრომაგიდა (1), გამოსასვლელ ნაწილზე, სადაც ხდება ჩაის მჭრელზე 5, გადაცემა, განიავება. დაჭრილ-დაქუცმაცებული ჩაის ნახევარფაბრიკატი, ელევატორი 6-ის მეშვეობით მიემართება დამხარისხებელ მანქანა „კომბაინის“ I-ლი იარუსის ჩარჩოებიან დამხარისხებელ ბადეებზე, სადაც მიმდინარეობს ჩაის დახარისხება ნახ. 12 მოცემული ტექნიკოლოგიური სქემით.

დაუხარისხებელი მსხვილი ფრიქცია ღარიდან (7), გადაეცემა II - იარუსის ჩარჩოებიან დამხარისხებელ ბადის მარჯვენა ფრთას, ჩაის მჭრელის (8) გავლის შემდეგ, განიცდის ხელახალ დახარისხებას 12 ნახაზზე მოცემული ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. დაჭრილი დაუხარისხებელი და ღეროებიანი მასა მიეწოდება პნევმოხვიმარა (9), და დამჭირხნი ვენტილატორის (10), პნევმო სატრანსპორტო მილის (11), მეშვეობით მიემართება ჩაის მჭრელ (12), მანქანაზე. დაჭრილ - დაქუცმაცებული ჩაის მასა ხარისხდება II - იარუსის მარცხენა დამახარისხებელ ფრთაზე. დახარისხების პროცესი მოცემულია ნახ. 12-ზე.

დამხარისხებელი მანქანა „კომბაინი“ მოძრაობაში მოყავს ელძრავას (13), სოლლვედური გადაცემით (14), რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ცენტრალურ ვერტიკალურ ღერძზე დამაგრებული ბარბაცა მექანიზმი (15), რომელიც დამხარისხებელი ჩარჩოების ორივე იარუსს ანიჭებს რხევით მოძრაობას.



ნახ. 13 ჩაის ნახვართაბრიკატის დამხარისხებელი
მანქანა
„კომბაინის“ კინემატიკური სქემა აქსიონომეტრიაში

**ჩაის დამხარისხებელი
„კომბაინის“ ტექნიკური დახასიათება**

1. მანქანის ტიპი - უწყვეტი ქმედების;
2. მნარმოებლობა. - 400-500 კვ/ სთ;
3. ჩატვირთვა – ვიბროპნევმატიკური გამწმენდ-გამამდიდრებელი მანქანის რხევანა დოზატორით;
4. დამხარისხებელი ბადეების რხევითი რიცხვი 125 – 130 რხ/წთ;
5. რხევის ექსცენტრისიტეტი, - 70 მმ;
6. ჩაის მჭრელები;
 - ა) ჩაის პირველი მჭრელი და ღეროების გამომრჩევი – ყP₁, ნამყვანი ლილვის ბრუნთა რიცხვი - 300 ბრ/წთ; ამყოლი ლილვის ბრუნთა რიცხვი - 117 ბრ/წთ;
 - ბ) ჩაის მეორე მჭრელი – ყP₂, ნამყვანი ლილვის ბრუნთა რიცხვი - 350 ბრ/წთ, ამყოლი ლილვის ბრუნთა რიცხვი - 117 ბრ/წთ;
 - გ) ჩაის მჭრელი – ყP₃; ნამყვანი ლილვის ბრუნთა რიცხვი - 350 ბრ/წთ, ამყოლი ლილვის ბრუნთა რიცხვი - 117 ბრ/წთ;
7. მანქანის გაბარიტები სიგრძე (სიგანე) სიმაღლე 10500 x 4700 x 4420 მმ – ებით;
8. მანქანის წონა 92500 კგ;
9. მუხლის ლილვის ექსცენტრისტეტი - 5 მმ.

ჩაის საკუპაჟე დოლი

4 ქნ-III

ჩაის ერთნაირი საფაბრიკო სტანდარტის მისაღებად და ნარევის შესადგენად, ხდება გამოხარისხებული და საწარმოო სინჯით შერჩეული სხვადასხვა პარტიის მსგავსი ჩაის ერთმანეთში არევა, ანუ დაკუპაჟება ჩაის შემრევ საკუპაჟე დოლი ყქნ-III მეშვეობით. ნახ. 14.


შემრევი დოლი შედგება ორი, ერთმანეთის პარალელურად დაყენებული მრგვალი თუჯის სალტისაგან (1), დიამეტრით 2200 მმ. ეს სალტები ურთიერთდაკავშირებულია მრგვალი ლითონის განბრჯენებით (2), აგებულ ჩონჩხედზე. შიგნიდან შემოკრულია ფურცლოვანი ფოლადი და წარმოადგენს დოლს. დოლი დაყენებულია ოთხ გორგოლაჭზე (3), რომლებიც ბრუნავენ ღერძებთან (5), ერთად საკისრებში (4).

დოლის შიგნით, მის მთელ პერიმეტრზე, დამაგრებულია დახრილი ფრთები. დოლი იტვირთება ელევატორით ან ლენტიანი ტრანსპორტიორით, დოლის შუბლზე მოწყობილი ხვრელიდან ჩაის ჩატვირთვის შემდეგ კარები მჭიდროდ იკეტება.

დოლში ჩაის არევა გრძელდება (5) ნუთს, ბრუნთა რიცხვი უდრის $\frac{π}{4} = 5$ ბრ/წთ. არევის პროცესის დამთავრების შემდეგ ჩაის მზა პარტია დოლის ბრუნვის დროს გამოიყრება ღარით (6), ღარი იღება ან იკეტება სახელურის (7), საშუალებით.

ჩაის გამოყრა ხდება დოლის შიგნით არსებული გამოსატვირთი დახრილი ფრთებით. მთლიანად დოლი ამძრავი მექანიზმით დამაგრებულია ფილაზე (8), შემრევი (საკუპაჟე) დოლის კინემატიკური სქემა მოცემულია ნახ. 15, რომელიც მუშაობს შემდეგი თანმიმდევრობით:

ელექტროძარავადან (9), ქუროს (10), საშუალებით ბრუნვითი მოძრაობა გადაეცემა ჭიახრახნულ რედუქტორს (11), საიდანაც ქუროს (12), საშუალებით ბრუნვას გადასცემს ლილვზე.



ნახ. 14. ჩაის შემრევი საკუპაჟე დოლის საერთო ხედი

ხისტად დასმულ Z_3 ცილინდრული კბილანას, რომელიც მო-დებაშია შემრევი დოლის ზედაპირზე დამაგრებულ შიგა მო-დების Z_4 კბილანასთან. ვინაიდან Z_4 კბილანა ხისტად არის დამაგრებული დოლთან, მისი ბრუნვა იწვევს დოლის ბრუნ-ვას, რომელიც დაყრდნობილია თუჯის ოთხ გორგოლაჭზე.

ჩაის სხვადასხვა პარტიის ერთმანეთში შერევის დროს დოლის მაღალი ბრუნთა რიცხვი იწვევს ჩაის ზედმეტად გა-ხეხას, რაც აუარესებს მზა პროდუქციის ხარისხს.

პრაქტიკულად დადგენილია, რომ ზემოთ აღნერილი კონსტრუქციის შემრევ დოლს, რომლის ტევადობაა 800-1000 კგ-დე, ტექნოლოგიურად მიზანშენონილია მიეცეს 5 ბრ/წუთში.

დოლის ბრუნთა რიცხვი იანგარიშება ფორმულით:

$$n_{\varrho} = n_{\text{კლ.მ}} \frac{z_1}{z_2} \cdot \frac{z_3}{z_4} \text{ ბრ. წთ.}$$

სადაც ॥ არის ელექტროძრავის ბრუნთა რიცხვი - 930 ბრ/წთ;

Z_1 -ჭიახრახნის სვლათა რციხვი, უდრის -2;

Z_2 - ჭიაკბილანას კბილთა რიცხვი უდრის -37;

Z_3 -ცილინდრული კბილანას კბილთა რიცხვი უდრის - 16;

Z_4 -შიგა მოდების ცილინდრული კბილანას კბილთა რიცხვი უდრის -150.

მოყვანილ მნიშვნელობებს თუ ჩავსვამთ ფორმულაში, მივიღებთ:

$$n_{\varrho} = 950 \cdot 37 \frac{16}{150} = 5 \text{ ბრ. წთ.}$$


1. შემრევ დოლში ჩაის მზა პროდუქტის დატოვება არ შეიძლება. რადგან ეს გამოიწვევს შემდგომი პარტიების ჩაის

სახის შეცვლას. დოლის სრული დაცლისათვის მისი გამომტვირთი სარქველის რამდენიმეჯერ შემობრუნებაა საჭირო;

2. ყველა საკისარი დახურული და დაცული უნდა იქნეს მტვრისაგან.

ჩაის შემრევი დოლის ტექნიკური დახასიათება

1. მანქანის მარკა - ყკნ-III;
2. ქარხანა-დამამზადებელი - ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა;
3. დანიშნულება - დახარისხებული ჩაის სხვადასხვა პარტიის ერთმანეთში შერევა;
4. მწარმოებულობა 800-1000 კგ/სთ (დატვირთვა-გადმოტივ-რთვის ჩათვლით);
5. გაბარიტული ზომები: სიგრძე x_1 , სიგანე x_2 , სიმაღლე x_3 , ($4700 x_1; 2400x_2; 2900 x_3$) მმ;
6. საერთო წონა, 2800 კგ;
7. დოლის ბრუნთა რიცხვი -5 ბრ/წთ;
8. დოლის დიამეტრი - 2150 მმ;
9. დოლის მოცულობა - 6 მ³;
10. ერთდროულად ჩატვირთვის რაოდენობა - 800-1000 კგ.



ნახ.15. ჩაის შემრევი (საკუპაჟე) დოლის.
კინემატიკური სქემა

ჩაის მზა პროდუქციის საბეჭი მანქანა ყუთ-III


შემრევ დოლში ჩაის სხვადასხვა პარტიის შერევის შემ-დეგ მზა პროდუქცია თავსდება სპეციალურ ფანერის ყუთებში. ჩაის ხარისხის მიხედვით ყუთები შიგნიდან შემოფენილია შესახვევი ქაღალდით - პერგამენტით და მაღალი ხარისხის ჩაისათვის ალუმინის ფურცლით ე.წ. კაშირებული ქაღალდით. პროდუქციის ყუთებში დაფასოების შემდგ, ჩაის მზა პროდუქციის ნაწილაკები შემჭიდროების მიზნით იბეკუნება საბეჭი მანქანაზე ნახ 16.

საბეჭი მანქანა შედგება შემედგი ძირითადი კვანძები-საგან: ელექტროძარავას (1), მაგიდისა (2), და რხევით მოძ-რაობაში მომყვანი მექანიზმებისაგან (3). მაგიდაზე მოთავ-სებული ჩაით შევსებული დასაბეჭი ყუთი (4), მაგრდება ორი მომჭერი ყბის (5) საშუალებით. სახელურის (6) ბრუნვით ხდება მაგიდის ყბების გადაადგილება. სავალი ხრახნის მარ-ჯვივ ბრუნვის დროს სავალი ქანჩები უახლოვდება ერთმა-ნეთს და იჭერს ყუთს; მარცხნივ ბრუნვისას კი პირიქით, შორდება ერთიმეორეს და ათავისუფლებს ყუთს.

ექტროძარავიდან (1), პირდაპირი შეერთების ქუროს (7) საშუალებით ბრუნვით მოძრაობაში მოდის მუხლა ლილვი 8), მრუდმხარას (9) და ბარბაცა (10) საშუალებით. მუხლა ლილვის ბრუნვითი მოძრაობა გარდაიქმნება რხევით მოძრაობაში და გადაეცემა მაგიდას (2). საბეჭი მანქანის მაგიდის ტანი ერთი მხრივ ხისტადაა დამაგრებული ბარბაცასთან (10), ხოლო ბარ-ბაცა მაგიდის ფუძესთან დაკავშრებულია სახსრით (11).

ამგვარად, ელექტროძარავას ბრუნვა გამოიწვევს მუხლა ლილვის ბრუნვას და ბარბაცას უკუმოქცევ-გადატანით მოძ-რაობას, რაც გადაეცემა მაგიდას და იგი სახსარზე (11), ირხევა წუთში იმდენჯერ, რამდენი ბრუნვაც აქვს ელექტროძარავას.

$$n_{\text{რხევ.}} = n_{\text{ერ. ძრ.}} = 1440 \text{ ბრ/წთ}$$



ნახ. 16. ჩაის საბეჭინი მანქანა ЧУТ-III
ა-საერთო ხედი; ბ-კინემატიკური სქემა

ჩაის საბეჭნი მანქანის ტექნიკური დახასიათება

1. მანქანა სტაციონარული, ვიბრაციული;
2. ქარხანა-დამამზადებელი - ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა;
3. დანიშნულება - ყუთებში ჩაყრილი ჩაის მზა პროდუქციის დაბეჭნა;
4. გაბარიტული ზომები, 1580x1010 x650 მმ;
5. საერთო წონა, - 630 კგ;
6. რხევათა რიცხვი, - 1440 წთ;
7. მწარმოებლობა, - 400 კგ/სთ;
8. ამძრავი - ინდივიდუალური ელექტროძრავა –
 $N=1,5$ კვტ, $n=1440$ ბრ/წთ;
9. მუხლის ლილვის ექსცენტრისიტეტი, 5 მმ.

თავი IV

ჩაის ნახევარფაზაპრიკატის დახარისხების დანიშნულება

მოგრეხილი ჩაი, გაიღლის რა გადამუშავების შემდგომ პროცესებს (ფერმენტაცია და ხმობა), ძირითადად ამთავრებს ქიმიურ და ბიოქიმიურ გარდაქმნებს და იქცევა ნახევარფაზაპრიკატად, რომელიც შემდგომში საჭიროებს დახარისხებას.

მზა პროდუქციის ხარისხიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად არის დაცული ნახევარფაზაპრიკატის დახარისხების ტექნოლოგიური ნორმები. არასწორმა დახარისხებამ და შერევამ (კუპაჟირებამ) შეიძლება გააფუჭოს კარგი ნახევარფაზაპრიკატი.

დახარისხება მექანიკური პროცესია; მისი მიზანია ნახევარფაზაპრიკატის განაწილება საფაზრიკო ხარისხებად. ჩაის ნახევარფაზაპრიკატის დახარისხების ტექნოლოგიური სქემა შედგება შემდეგი ოპერაციებისაგან: დასაწყისში მსხვილი ფრაქციები - III ფრაქცია, რომლიდანაც ნაზი ნაწილები მთლიანად გამოცრილია, იჭრება სპეციალურ ჩაის საჭრელ მანქანებზე; შემდეგ კი გატარდება დამხარისხებელ მანქანაზე, რის შემდეგაც იღებს სტანდარტულ სახეს. მიღებული საფაზრიკო სტანდარტები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან არა მარტო გარეგნულად, არამედ ხარისხითაც.

სპეციალისტ-დეგუსტატორების მიერ შერჩეული, ხარისხითა და გარეგნული სახით ერთგვაროვანი დახარისხებული ჩაის პარტიები ერევა ერთმანეთში და დაკუპაჟდება. დაკუპაჟებული პროდუქტი მიიჩნევა მზა ნაწარმად, ანუ მზა პროდუქციად.

ჩაის ფოთლის გადამუშავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძირითადი ტექნოლოგიური პროცესია გრეხა და

მოგრეხილი ჩაის ფოთოლის ჭრა-დახარისხება. აღნიშნული ტექნიკური პროცესის დამთავრების შემდეგ მიიღება სამი ძირითადი I-II-III ფრაქცია, რომელიც განიცდის ფერმენტაციას და ხმობას. მიღებული ფრაქციები კლასიფიცირდება შემდეგი სახით:

- I - ფრაქცია შესდგება წვრილი ჩაისგან;
- II - ფრაქცია შესდგება ნაგრეხი ფოთლის ჭრის შედეგად მიღებული სამუალო ზომის ჩაისაგან;
- III - ფრაქცია მიიღება უხეში ჩაის ფოთლისაგან და ხა-სიათდება მსხვილი გეომეტრიული ზომებით.

ფრაქციების პროცენტული ოდენობა დამოკიდებულია ჩაის ფოთლის სინაზეზე გრეხის მეთოდებზე და ტექნიკური მანქანა-დანადგარების იმ ტიპებზე, რომელზედაც ხდება ნაგრეხი ფოთლის ჭრა და ე.წ. „მწვანე“ დახარისხება. რაც უფრო უხეშია ჩაის ფოთოლი, მით მეტია მსხვილი III - ფრაქცია, რაც ნაზია ფოთოლი და ძლიერ ხანგრძლივადაა ნაგრეხი „მწვანე“ დამხარისხებელი მანქანის ბადეზე, მით მეტია I-II ფრაქციების გამოსავლიანობა.

ჩაის ნახევარფაბრიკატის დეგუსტაციის ჩატარების დროს, ტიტესტერი სამივე ფრაქციიდან ცალ-ცალკე იღებს ნიმუშს ანუ სინჯვს 10 გრ-ს. ოდენობით. ჩაის ნახევარფაბრიკატის გამოხარშვა და შეფასება ხდება იმავე წესით, როგორითაც მზა პროდუცქიის შეფასება 5 მაჩვენებელი ფაქტორით: 1 -გარეგანი სახე, 2- ნაყენი ფერი, 3-არომატი, 4-გემო და 5-გამონახარში ფოთლის ფერი ჩაის ნახევარფაბრიკატის ხარისხის განსაზღვრისას ანუ გასინჯვისას, ყოველთვის უნდა გვქოდეს ეტალონად წინა დღის შეფასებული ნიმუში, აგრეთვე, სეზონის დაწყებისას მიღებული სტანდარტი.

ჩაის ნახევარფაბრიკატის გარეგანი სახე ფასდება გრეხვის ხარისხით და ფოთლის ფერით. ნაყენის ფერი ფას-

დება ისე, როგორც მზა ჩაიში გემო და არომატი ფასდება ბალებში რაც შეიძლება მერყეობდეს 1,5-იდან 3,75 ბალამდე. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფრაქციებში ასორტიმენტის ყველა ხარისხებია არეული და ხდება ბალების გასაშუალება. არომატის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარეშე სუნის გამოჭერას. ადვილია გავიგოთ: სიდამნვრის არომატი/ რომელიც გამოწვეულია ხმობის პროცესში მიმდინარე მაღალი ტემპერატურის გავლენით, ანუ ხანგრძლივი ხმობით, სიმუავის გემო /გახანგრძლივებული ფერმენტაცია/ შმორის/ გახანგრძლივებული ღნობა/ ბალახისებრი სუნი /ღნობა აკლია/ მერქნის /უხეში ფოთლისაგან/.

ტენის გასინჯვის დროს მთავარია ყურადღება ექცეოდეს ნაყენის ექსტრაქტულობას, მის შემკრავ თვისებებს. ასევე, უნდა აღინიშნოს გასინჯვის შედეგად მისი უპირატესობა და ნაკლი.

გამონახარში ჩაის ნახევარფაბრიკატის არის არაერთგვაროვანი და ყურადღება უნდა მიექცეს უმეტესად მის ფერს, საიდანაც ვიგებთ ფერმენტაციისა და ღნობის სისწორეს.

ნაყენის გასინჯვის დროს შეიძლება ვიხმაროთ ასეთი ტერმინები: ძლიერ მუქი, იშვიათი შეფერილობა, ძლიერ მაგარი, საშუალო, სუსტი, ძლიერ სუსტი.

არომატისას - მაღალი, ძლიერ არომატული, ყვავილოვანი, კარგი არომატით, არომატული, არაერთგვაროვანი მწვანე, ყრუ, ცარიელი, დეფექტი - ბალახისებრი.

გემოსას - ძლიერ ექსტრაქტული - შემკრავი; ექსტრაქტული - სრული, საშუალო, რკალი, ნაზი, სუსტი, სასიამოვნო, ცარიელი, დეფექტი - ბალახისებრი.

გამონახარში ფოთლისა - აბსოლუტურად ერთგვაროვანი, მკაფიო. წითელი, სპილენძის ფერი, ერთგვაროვანი,

ერთგვაროვანი ყავისფერი, არაერთგვაროვანი, მკრთალი სიმწვანით, მკრთალი, რუხი, მუქი - მწვანე, შავი, ძლიერ შერეული.

დეგუსტაციის შედეგები შეიტანება ჩაის ნახევარფაბრიკის შეფასების სპეციალურ უურნალში თავისივე დახასიათებითა და ბალებით, ხოლო ბალური შეფასებები და ნაყენის შეფერილობა აღიროცხება ტექნოლოგიურ პასპორტში. შევსბული პასპორტები უბრუნდება სახმობ განყოფილებებს.


გამხმარი ჩაის ნახევარფაბრიკატი არ წარმოადგენს დამთავრებულ პროდუქტს, რადგანაც სამივე ფრაქცია ვიზუალურად ერთმანეთისგან განსხვავებულია და არაერგთვაროვანი. ამიტომ აუცილებელია მისი გატარება დამხარისხებელ მანქანებზე, რის შედეგადაც მივიღებთ ფაბრიკულ ხარისხებს. დახარისხების პროცესი არის სუფთა მექანიკური, რომელიც არ ცვლის პროდუქციის შიდა შემადგენლობას. ჩაის დახარისხების დროს უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთგვაროვნებას და გეომეტრიულ ზომას ერთნაირია თუ არა. არაერთგვაროვნება ინვევს არასასიამოვნო შთაბეჭდილებას, აქვეითებს პროდუქციის ღირებულებას. ფაბრიკის ტიტესტერის მოვალეობაა, თვალყური ადევნოს და პასუხი აგოს ფაბრიკული სახეების გამომუშავებაზე. ფაბრიკაში ეს ბოლო სტადია მთლიანად დამოკიდებულია ტიტესტერის მუშაობაზე.

ჩაის მზა პროდუქციის კლასიფიკაცია

ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხება ხდება ორიარუსიან უწყვეტი მოქმედების დამხარისხებელ მანქანა „კომბაინზე“, რომელიც შედგება ორი ერთმანეთზე განლაგებული დამხარისხებელი ფრთისგან (ბადეებისგან), საიდანაც მიიღება 16 სხვადასხვა ნომერი. ჩაის ნახევარფაბრიკატის


მსხვილი ფრაქციის ერთ გატარებაზე მიიღება 9 ნომერი: 1,2,4,8,10,11, 12,13,15; დანარჩენი 3,5,7,9 და 16 ხელმეორედ ხარისხდება, ხოლო 6 და 14 ნომრები გადააქვთ ხელმეორე დახარისხებისთვის ბრტყელ დამხარისხებელ მანქანაზე.

მეორედ დახარისხების შემდეგ 3-იდან მიღებული ნომრები 10,12,16 მოითხოვენ ისევ დახარისხებას, ხოლო დანარჩენი მზადაა. 15-იდან - 10, 11, 12 ისევ უნდა დახარისხდეს - დანარჩენი მზადაა. 17-იდან -1,10,11 და 12 ისევ ხარისხდება, 19-იდან მიღებული ნომრები ყველა მზადაა, ხოლო 16-იდან მიღებული გარდა 11 და 16-ისა, დახარისხებულია. ჩაის ნახევარ-ფაბრიკატის წვრილი და მსხვილი ფრაქციების დახარისხება ხდება ორი ნახ. 16 და ნახ. 17 ტექნოლოგიური სქემით, ანუ ჩაის წვრილ და მსხვილ ფრაქციებად, რომელიც დამუშავებულია ჩაის ტიტესტერ-ტექნოლოგის, ი. გალდავაძის მიერ.



ნახ. 17

ჩაის წვრილი ფრაქციის დახარისხების სქემა



□ միա բան
նոմրեցի

△ բան նոմրեցի
ռոմլուցից մոտածովը բարձրացնեցած և դասարակած է

◇ բան նոմրեցի
ռոմլուցից մոտածովը բարձրացնեցած և դասարակած է

ճան. 18

Բան մասեցուղություն գործադրություն և պահպան օպերատոր կազմակերպություն

ფოთლის სახეების მიხედვით შავი ბაიხის ჩაის მზა პროდუქცია ცხრილი 4 იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ფოთლოვანი /Листовой/ და წვრილი /мелкий/.

ცხრილი 4

Nº	ფოთლოვანი ჩაის ჯგუფის სახეები	% შემადგენლობა	Nº	წვრილი ჩაის ჯგუფის სახეები	% შემადგენლობა
1	ფოთლოვანი 1 – L_1	15-20	1	წვრილი 1 – M_1	12 ÷ 15
2	ფოთლოვანი 2 – L_2	30-35	2	წვრილი 2 – M_2	4 ÷ 6
3	ფოთლოვანი 3 – L_3	12-15	3	წვრილი 3 – M_3	1 ÷ 3
			4	გამონაცერი-ვყის	10 ÷ 12 ÷ 3
			5	ფხვნილი - Kp.	
			6		

ბალური შეფასების დროს საზღვარგარეთის და სამამულო ჩაისათვის სარგებლობენ ათბალიანი სისტემით, საქართველოში არსებობს შავი ჩაის ასორტიმენტის 9 ხარისხი და მწვანე ჩაის ასორტიმენტის 6 ხარისხი: ცხრილი 5

ცხრილი 5

Nº	შავი ჩაის ბალური შეფასება	Nº	მწვანე ჩაის ბალური შეფასება
1	„საქ. თაიგული“ – 5 და ზევით უმ/ხ - I კატ-4.25, 4.5, 4.75	1	„თაიგული“ – 5.75 და ზევით უმ/ხ 4.75
2	უმ/ხ - II კატ- -4.0, 3.75	2	II ხ-ფოთლოვანი წვრილი 3.5, 3.25
3	I-ხ 3.25, 3.5	3	II ხ ფოთლოვანი წვრილი 2.75, 2.5
4	2/1, 2.75, 3.0	4	III ხ 1.5
5	2/3 2.5, 2.25	5	ფხვნილი 1.5
6	2/3 2.0, 1.75	6	
7	III - ხ 1,5		
8	ფხვნილი 1,5		
9			

საზღვარგარეთ თავისი ღირსების მიხედვით ჩაი იყოფა 5 ჯგუფად: მაღალი, საშუალოზე კარგი, საშუალო, საშუალოზე დაბალი, დაბალი.

გვხვდება განსაკუთრებით მაღალი ღირსებით ჩაი, რომელიც დასახელებული ჯგუფებიდან არც ერთ არ მიეკუთვნება. ასეთი ჩაი ცნობილია “vnlgue” სახელწოდებით, რაც ნიშნავს „შეუდარებელს“, „განსაკუთრებულს“.

1. მაღალი - /высокий/ 5.25 ბალი და ზევით
2. საშუალოზე კარგი /хорош/ 4.25, 4.5
3. საშუალო /ср/
4. საშუალოზე დაბალი /м/ср/
5. დაბალი - /низкий/ 1.5, 1.75, 2.0

ინდოეთისა და ცეილონის ჩაის ფაბრიკებში ჩაის ტიტესტერულ შეფასებას, როგოროც წესი, ანარმოებს ნარმოების ხელმძღვანელი /მმართველი/ და არა მხოლოდ ტიტესტერი როგორც ჩვენში. ჩაის სახეები ხასიათდება შემდეგი დამახასიათებელი ნიშნებით:

შავი ჩაი

Л₁-ჩაი შედგება კარგად ნაგრეხი დუყის I და II ფოთლი-საგან და ნაწილობრივ ნაზი ღეროებისაგან, I -ხარისხი;

Л₂-საკმაოდ და კარგად ნაგრეხი II და III ფოთოლთა ნარევი - I-b 2/1 და 2/2;

Л₃-უმთავრესად III ფოთოლი და ნაწილობრივ ნაზი ღეროები - 2/2 2/3 და უხეში კი III b;

M₁ – დუყის დაუშლელი კვირტი და ნაწილობრივ კარგად ნაგრეხი I ფოთოლი „თაიგული“ I-b;

M₂ - სუსტად ნაგრეხი ფოთლის დამტვრეული ნაწილები. ნარმოიშობა ნახევრადფაბრიკატის დაჭრის შედეგად 2/1 2/2 და I-b;

M_3 - გამოიყოფა ზედმინევრით ზუსტი დახარისხების შედეგად, მოუხეშო ნაწილები, ცუდად ნაგრეხი, დამტვრეული ფოთლები 2/3 და III-b;

გამონაცერი (Высевка) - წარმოიშვება ნახევარფაბრიკატის მსხვილი ფრაქციის დახარისხების დროს, განსაკუთრებით დაჭრის შედეგად. ნაწილობრივ ვეღბულობთ ნახევარფაბრიკატის წვრილი ფრაქციიდან, რომელიც მიეკუთვნება I ხარისხს. წვრილი ფრაქციიდან განსხვავებით შეიძლება მივაკუთვნოთ აღნიშნულ ნომრებს 2/1, 2/2, 2/3.

მსხვილი, საშალო და წვრილი. ჩაის ხვედრითი ნილი პროდუქციის მთელს მოცულობაში შეიძლება იყოს დაახლოებით 15-17%, რომლისგანაც ამზადებენ შავ ფილა ჩაის.

Kр (куеромшю) წარმოიშობა ჩაის ხმელი დახარისხების დროს.

მწვანე ჩაი

I_1 -თაიგული უმ/b და I б სუფთა გაჭვირვალე ნაყენი, ღია ქარვისფერი;

I_2 -უმ/b, I-b, II-b-გამჭვირვალე. ღია ქარვისფერი ნაყენი;

I_3 – II-b, III-b-ყვითელი, ოდნავ მოწითალო, უმნიშვნელო ნაყენის სიმღვრიე;

M_2 - უმ/b III-b - მოყვითალო გამჭვირვალე ნაყენი;

M_3 – II-b III-b ყვითელი მოწითალო;

Выс- II-b III-b-ნაყენი ყვითელი მოწითალო, უშვებენ დაწნებილს სახით.

Kр - ხვედრითი ნილი მთელს პროდუქციაში დასაშვებია დაწნებილი სახით.

მომხმარებელს მწვანე ჩაიში მოსწონს ფოთლოვანი ჩაი. მწვანე ჩაისათვის განსაკუთრებული ფერის მისაცემად ჩინეთსა და იაპონიაში შემოღებულია სპეციალური ოპერაცია

ე.წ. გახეხვა, ზოგჯერ ამ პროცესის ჩასატარებლად იყენებენ ტალქს.

ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვისა და ჩაის ნახევარფაბრიკატის სწორი დახარისხების პირობებში ჩაის პროდუქციის ხვედრითი ნონა სახეების მიხედვით % - ში მოცემულია ცხრილი 4 - ში :

ჩაის დეგუსტაციის მეთოდები

შეფუთვამდე, დაკუპაჟებული ჩაი შემოდის საწარმოო სასინჯში სადაც გულდასმით სინჯავენ გარეგანი სახის მიხედვით, საზღვრავენ მისი სინესტის პროცენტულობას და აწარმოებენ დეგუსტაციას.

დეგუსტაცია უნდა აწარმოონ გასინჯვის ინდივიდუალური წესის მკაცრი დაცვით.

როცა შეფუთული ჩაის 10-15 მარკა მოგროვდება, ხდება მისი ხარისხის დადგენა. დეგუსტაციის დროს ნიმუშთა რაოდენობა სტანდარტიანად არ უნდა აღემატებოდეს 10-16-ს. ეს იქნება გასინჯვის ერთი სერია. ყოველი სერიის გასინჯვის შემდეგ შესვენება უნდა იყოს 15-30 წუთი. დეგუსტაცია იწარმოებს როგორც დია წესით, ასევე დაშიფრულად.

დადგენილი წესით მომზადებული ნიმუშები ამონევის შემდეგ იხარშება მადულარი (ქაფქაფა) წყლით 5 წთ. განმავლობაში. ჭურჭლის გავსებას უნდა აკლდეს 4-6 მმ. ჩაის ხარისხის დასადგენად ხუთივე მაჩვენებლის გასინჯვის შემდეგ ტიტესტერთა ჯგუფის 2/3 სპეციალისტი თავისთვის იწერს გასინჯვის შედეგებს. თითოეულის ჩანაწერის ფიქსირება ხდება სატიტსტერო უურნალში. თუ ერთი ტიტესტერის შეფასება არ ედრება ორი დანარჩენის შეფასებას, მაშინ პრო-

დუცქიას ენიჭება ხარისხი ორი ერთნაირის მიხედვით, მაგრამ თუ სამი სპეციალისტიდან ერთმა ჩაის მისცა მოსალოდნელად დაბალი ან მაღალი შეფასება, ჩაი იხარშება ხელახლა სხვა კომისიის გადახედვით. მაგალითად, ორმა სპეციალისტმა ჩაის მისცა შეფასება არომატსა და გემოში 3,25, ხოლო ერთმა არა 3,0 არამედ 2,75 ან 3,75 მაშინ ამ ნიმუშებს ხელახლა გადახედავს კომისია. მოსახარში ჩაის წყლის მომზადება, ადულება და ჭურჭლის გარეცხვა ხდება სპეციალურ სახარში, სადეგუსტაციო ოთახის გვერდით.

ჩაი იხარშება განმეორებით, როდესაც პირველ შემთხვევაში შეინიშნება რაიმე დეფექტი.

დიდი მნიშვნელობა აქვს დეგუსტაციის დროს წყლის შემცველობას, სიხისტეს, სოდიანობას და ა.შ. ამერიკაში, როცა მიმდინარეობს სადაო საკითხებით გამოწვეული სერიოზული დეგუსტაცია, ჩაის მოსახარშად იხმარება დისტილირებული ანუ გამოხდილი წყალი, რომლის მეშვეობითაც ჩაის ხარისხი ისაზღვრება მთელი სიზუსტით.

არომატისა და გემოს მხრივ ერთნაირი ხარისხის ფოთლოვანი და წვრილი ჩაი განსხვავდება ერთმანეთისგან. ფოთლოვანი ჩაი ყოველთვის გვაძლევს უფრო ნაზ არომატს და დამახასიათებელ გემოს, როცა წვრილი ჩაის თავისებურ გემოს ნაკლებად გამოხატული, განუსაზღვრელი, გაურკვეველი არომატი აქვს.

სასიამოვნო არომატებს მიეკუთვნება შემდეგი: ყვავილოვანი ეფექტური, მწვანე ყვავილოვანი (ცეილონის ჩაი), თაფლისებური (დარჯილინგის), სასიამოვნო -კონდიტრული (ცეილონის), ჩაის კვირტის სუნი (ინდოეთის), არომატი ყოველთვის უფრო მოსაწონია ფოთლოვან ჩაიში, ხოლო გემოში უფრო ექსტრაქტული და სრულია წვრილი ჩაი.

კიდევ უნდა შევეხოთ გამონახარში ფოთლის ფერის მიხედვით დეფექტების განსაზღვრას და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენას:

1. მკაფიო მწვანე ფერი ფიზიკური და ქიმიური მოუმღნარობა;
2. მკაფიო მწვანე ქიმიური მოუმღნარობა და ფიზიკური გადამღნარობა;
3. მკრთალი ყავისფერი ქიმიური გადამღნარობა;
4. ჭრელი ფერი არათანაბარი ღნობა;
5. მკრთალი ფერი ფერმენტაციის დროს ფოთლის გამოშრობა სადგომში სიმშრალის გამო;
6. შეფუთვის დროს ჩაის პროდუქციას უნდა ჰქონდეს სინესტე არა უმეტეს 7%-ისა, ხოლო ნახევარფაბრიკატის უნდა შეადგენდეს 4-5% -ს.

ჩაის ხარისხის დადგენის ყველაზე გავრცელებული და ადვილი მეთოდია დეგუსტაციის მეთოდი, რომელიც იყოფა ორ სახედ: დეგუსტაცია ხმელ ჩაიზე და დეგუსტაცია მოხარ-შულ ჩაიზე. ამასთან ჩაის მოხარშვისა და გასინჯვის ორი ხერხი არსებობს - ამერიკული და რუსული.

ჩაის გასინჯვა ხმელად ინარმოება მაშინ, როცა გამოსარშვის პირობები არაა, ან როცა საჭიროა ჩაის ჩქარი, მაორენტირებელი და ვიზუალური შეფასება. ეს მეთოდი გვაძლევს უხეშ და მიახლოებით შეფასებას, ამიტომ მას იყენებენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთვევაში.

ხმელ ჩაიზე არომატი ისაზღვრება ცხვირთან მიტანით და ჰაერის ძლიერი შესუნთქვით: გემო კი ჩაის ძალზე მცირე ნაწილაკების ენის წვერზე პირის ღრუში მოთავსებით და დალუქვით, მანამ, სანამ ჩაი არ გადაიქცევა ფაფისებურ მასად. ჩაის ხარისხიანობა განისაზღვრება არა მარტო გემოთი, არა-მედ ფაფისებური მასის მდგომარეობით, რომელიც შეიძლება იყოს რბილიც და უხეშიც, ფოთლის ხნოვანების მიხედვით

და ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების სწორი შესრულებით. იმის გამო, რომ მშრალ დევუსტაციას არ აქვს ჩვენთვის არსებითი მნივშნელობა, მასზე არ შევჩერდებით.

„ცხელი დევუსტაციის“ რუსული მეთოდი

„ცხელი დევუსტაციის“ რუსული მეთოდი შეიცავს ჩაის ხარისხის ყველა ხუთი ფაქტორის განსაზღვრას. შესაფასებელი ნიმუშები იყრება თეთრი ქალალდის ფურცელზე ერთნაირი რაოდენობით. პირველად ათვალიერებენ ჩაის გარეგან სახეს ქალალდის ფურცლის შენჯლრევით, რათა ჩაის ნანილაკები თანაბრად განლაგდეს. ამით დგინდება მასის ერთგვაროვნება, დაგრეხვის ხარისხი ანუ „უბორკა“, ჩაის ფერი, მტვრის შემცველობა, კვირტისა და წითელი ლეროების შემცველობა, ტიპისიანობა.

გარეგანი სახის შეფასების შემდეგ (როგორც სიტყვერი ისე ბალური 3,75; 3,5; 3,25; 3,0; 2,75; 2,5; 2,25; 2,0; 1,5) აიღება 3-3 გრ. წონაკები და იყრება ფაიფურის პატარა ჩაიდანში, ასხამენ მდუღარე (ქაფქაფა) წყალს, თუ წყლის დასხმის შემდეგ ჩაის ნანილაკები ცურავენ ზედაპირზე, ეს იმას ნიშნავს, რომ წყალი არ იყო მაღუღარი (ქაფქაფა) და ასეთ დროს ფაიფურის ჭურჭელში წარმოიქმნება ქაფი. გადადუღებული წყლის შემთხვევაში ნაყენი არის მკვდარი, მკრთალი და შედარებით სუსტი ჩაი იხარშება 5 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც ნაყენი გადაიწურება ფიალებში ბოლო წვეთის ჩამოსვლამდე.

პატარა გასასინჯ ჩაიდნებს დგამენ გვერდზე, რომ ცოტა შეგრილდეს; ჯერ სინჯავენ ნაყენის შეფერილობის ინტენსივობას, ფერთა გამას და მის ნაკლოვან მხარეს - წითე-

ლი, ყავისფერი, მომწვანო, მორუხო, აგრეთვე, გამჭვირვა-ლეობას, გაჭუჭყიანებას და ა.შ. ნაყენის ფერის განსაზღვრისთვის სარგებლობენ ასევე, „კოლერნიკით“ ან ისე დაკვირვებით /ძლიერ მაგარი, მაგარი, საშუალოზე მაღალი, საშუალო, საშუალოზე დაბალი, სუსტი/.

შემდეგ ვიღებთ გამოხარშულ ჩაის პატარა ჩაიდნით მარჯვენა ხელით, ისე, რომ ჭურჭლის სახელური და ნახევარი სახურავი მოთავსდეს ხელის გულში, 2-3 ჯერ შენჯღრევის შემდეგ, მარცხენა ხელით ვიღებთ ჭურჭელს ისე, რომ მისი წინა მხარე გადასაწურის მხრიდან მოთავსდეს მარცხენა ხელის გულში, ხოლო მარჯვენით ვხდით სახურავს. სწრაფი მოძრაობით მიგვაქვს ცხვირთან, ჰაერის ძლიერ ჩაუნთქვით საზღვრავენ ჩაის არომატს და იჭერენ მასში არსებულ გარეშე სუნს: კვამლის, სიდამწვრის, სინესტის, სიმუავის, რომნლიც შესაძლებელია წარმოიშვას შრობის დროს. ათავსებენ პირის ღრუში ერთ ყლუპ ჩაის ნაყენს და მისი შემკრავი მოქმედებით პირის მემბრანაზე, განსაკუთრებით ღრძილებზე, მსჯელობენ ექსტრაქტულობასა და ნაყენის გემოზე. გემოს განსაზღვრავენ ბალებში. არომატსა და გემოს აქვს ერთი და იგივე ბალი.

ბოლო, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან და ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს გამონახარში ფოთლის შეფასება. ამ მიზნით, გამონახარში ფოთოლი იყრება ფაიფურის პატარა ჩაიდანის სახურავზე. წურავენ ორივე ხელის ცერა თითით და საზღვრავენ გამონახარში ფოთლის ფერს, რომელიც სწორი ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვის შედეგად უნდა ედრებოდეს სპილენძის /ახალი მონეტის ფულის/ ფერს. თუ გამონახარში ფოთლის მასაში არის მწვანე, მუქი, აგრეთვე მკრთალი ფოთლების მინარევები, ეს მოწმობს იმას, რომ ტექნოლოგიური პროცესი დარღვეულია და რომელიმე სტადიაში ჩატარებულია არასწორად. ასეთი ნაკლოვანებები შე-

იმჩნევა მაშინ, როცა ღნობისა და ფერმენტაციის დროს დარღვეულია როგორც ბიოლოგიური, ისე ფიზიკურ-მექანიკური თვისებები არასწორი ტექნოლოგიური რეჟიმების გამო.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, დეგუსტაციის რუსული ხერხი შეიცავს 5 მთავარ და ძირითად ფაქტორს ჩაის ხარისხის ღირებულების განსაზღვრისას: 1. ჩაის გარეგანი სახე, 2. ნაყენის ფერი, 3. არომატი, 4. გემო, 5. გამონახარში ფოთლის ფერი.

დეგუსტაციის ამარიკული მეთოდი

ჩვენთან ცხელი დეგუსტაციის „ამერიკული მეთოდი“ არაა მიღებული. ამ მეთოდში უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის ნასესხებია ყავის დეგუსტაციის პრაქტიკიდან. ამერიკული ხერხი ჩაის დეგუსტაციისა განსხვავდება რუსული მეთოდისაგან იმით, რომ ამერიკული მეთოდის დროს იღებენ 2-ჯერ ნაკლებ სასიჯ პროდუქციას, ვიდრე რუსული მეთოდის დროს. ჩაის ხარშავენ ფიალაში და არა პატარა ჩაიდანში. ასე ტოვებენ მას ნაყენთან ერთად. არომატის განსაზღვრისათვის ჩაის გამოხარშული ფოთლებს აურევენ ჩაის კოვზით და მიიახლოვებენ ცხვირთან არომატის განსაზღვრისათვის. გემოს განსაზღვრავენ ისევე ფიალაში მოთავსებულ ნაყენთ ან ერთად. აქ დაყოვნება ხდება 5 წუთზე მეტსანს. პრაქტიკაში გვიჩვენა, რომ დეგუსტაციის ეს მეთოდი არახელსაყრელია, რადგანაც მოთიხოვს დიდ დროს, შედარებით მეტ ყურადღებას და განსაკუთრებულ ჩვევებს, მაშინ, როდესაც რუსული მეთოდით დეგუსტაციის დროს შედეგები ყველა შთაბეჭდილებაში მიიღება უფრო მკაფიოდ, სახელდობრ: არომატი - აშკარა, შესამჩნევი, ცხადი; გემო - მკვეთრი; ნაყენი უფრო მაგარი და კაშკაშა, რადგან ფიალაში გადასხმულია სუფთა

ნაყენი გამონახარში ფოთლების მინარევების გარეშე, ამ დროს გამონახარში ფოთოლიც ჩანს უკეთესად და მის ხარისხზე უფრო ადვილია მსჯელობა. ასევე, ადვილად შეიძლება დავადგინოთ ტექნოლოგიური პროცესების რეჟიმების სისწორე. ამიტომ ამერიკული მეთოდი გამოსადეგია უმთავრესად უფრო პატარა ანუ ჩაის მოყვარულთა დეგუსტაციაზე, როცა დეგუსტატორს აქვს ბევრი დრო და შეუძლია დაჯდეს მშვიდად და დააკვირდეს, როგორც ამერიკელები უწოდებენ, პოეტურად, „ფოთოლთა აგონიას“, მათი მოხარშვის პროცესში.

სატიტესტერო საქმიანობა

ჩაის მრეწველობაში, როგორც კვების მრეწველობის სხვა დარგებში, პროდუქციის ხარისხის შეფასება ხდება დეგუსტაციის საშუალებით. პირები, რომლებიც ანარმობენ დეგუსტაციას, იწოდებიან ტიტესტერებად. ეს არის ინგლისური სიტყვა tea-ჩაი, taster - გამსინჯველი. დეგუსტაცია არის მეტად ფაქტზი პროცესი. ეს არის განსაკუთრებული ხელოვნება და მოითხოვს ბუნებრივ ნიჭს, განსაკუთრებული ყნოსვისა და საგემოვნო ორგანოებით. ჩაის ხარისხის სწორად განსაზღვრას საფუძვლად უდევს დიდი ხნის პრაქტიკა და გამოცდილება. ტიტესტერმა კარგად უნდა იცოდეს ჩაის მწარმოებელი ყველა ქვეყნის დამახასიათებელი ჩაი, აგრობიოლოგიური პარამეტრები და უნდა შეისწავლოს ყველა ქვეყნის დამახასიათებელი ჩაის ნიმუშები, არსებითად კი იმ ქვეყნებისა, რომლებზედაც უხდებათ მათ მუშაობა და ანარმოებს შესყიდვას.

ყველა კვალიფიციური ტიტესტერი უნდა იყოს გაცნობილი ჩაის ქიმიას, ბიოქიმიასა და კერძოდ ჩაის ტექნოლოგიის საფუძვლებს. აუცილებელია, გარკვევით წარმოადგინოს ამა თუ იმ ნაკლოვანებებისა და დეფექტების მიზეზი, რომელიც უნდა ეძებოს დარღვევით წარმოებულ ტექნოლოგიურ პროცესში ან ჩაის ნედლეულში (ჩაის მწვანე ფოთოლში), რადგანაც ეს ორი ფაქტორი განაპირობებს ჩაის ხარისხს. საჭიროა, აგრეთვე, იცოდეს თუნდაც ელემენტარული საკითხები ჩაის კულტურაზე, ჩაის ბურქის ვეგეტაციაზე და ჩაის დუყის შემადგენლობაზე, აუცილებელია, გარკვევით წარმოადგინოს, ჩაის ფოთლის რომელი შემადგენელი ნაწილები განსაზღვრავენ მის სავაჭრო ღირებულებას, როგორც სასმელისას.

თანამედროვე ჩაის მრეწვალობაში და ვაჭრობაში ტიტესტერები ასრულებენ სამ, თითქმის თავისი ხასიათით, სხვადასხვა სამუშაოს. მათი დაყოფა შეიძლება შემდეგ კატეგორიებად:

ტიტესტერ - მწარმოებელი - მუშაობს ჩაის მწარმოებელი ქვეყნების პირველად გადამუშავების ფაბრიკებში. მათ მოვალეობას შეადგენს ჩაის მწვანე ფოთლის კონტროლი წამროების სხვადასხვა სტადიაში და მზა ჩაის ხარისხის ფიქ-სირება. თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ მისი წარმოების მარკა ფაბრიკული (სტანდარტი) არ დაეცეს, არ გაუარესდეს და დარჩეს მუდმივი.

ტიტესტერ - შემსყიდველი - მუშაობს ჩაის შესყიდვებზე ჩაით ვაჭრობის მრავალ ცენტრებში. ყიდულობს ჩაის იმ ფირმების მოთხოვნით, ვისზედაც ის მუშაობს.

ტიტესტერ - დამხარისხებელი - მუშაობს მსხვილ ჩაის გადამწონ ფაბრიკებში. მისი მოვალეობაა ჩაის ხარისხის განსაზღვრა, სხვადასხვა ხარისხის ჩაიდან სავაჭრო ნარევების შედგენა. მათ მიერ წარმოებული კუპაჟები, ჩვეულებრივად

უნდა ედრებოდეს მოცემულ ქვეყნების მომხმარებლის გმოვ-ნებას. ჩაის კუპაჟი ხდება ტიტესტერის მიერ შედგენილი რე-ცეპტების საშუალებით, აგრეთვე, თვალს ადევნებენ ნარევე-ბის სწორად დამზადებას.

ტიტესტერ - მცარმოებელი

ძირითადად ტიტესტერ-მწარმოებლის მუშაობა თავს იყრის შემდეგ ძირითად განყოფილებებში.

1. ჩაის ნედლეულის კონტროლი; საფაბრიკის ცენტრა-ლურ მიმღებ პუნქტში;

2. ჩაის გადამუშავების - ღნობის, გრეხა, ჭრა - დახარის-ხების, ფერმენტაციის და ხმობის კონტროლი და ნახევარ-ფაბრიკის დამხარისხებელ საამქრო;

3. ნახევარფაბრიკატის ხარისხიანობის განსაზღვრა, გასინჯვა და ბალური შეფასება ფრაქციების მიხედვით. შრობის შემდეგ;

4. მზა პროდუქციის ხარისხის განსაზღვრა, ნარევების შედგენა და კუპაჟი, გასინჯვა და შეფასება. დამხარისხებელ საამქროში;

ა. ჩაის ნედლეულისა და მზა პროდუქციას შორის არის მჭიდრო კავშირი. ნედლეულის ხარისხიანობაზეა დამოკიდე-ბული სწორად გადამუშავებული პროდუქციის ხარისხი, ამი-ტომ ტიტესტერმა ხშირად კონტროლი უნდა გაუწიოს მიწო-დებული ფოთლის ხარისხს - მისი მექანიკური ანალიზის ჩა-ტარებითა და გარე-შიგა სინესტის განსაზღვრით.

ბ. ღნობის პროცესის კონტროლი - ფიზიკურ ღნობის დამთავრება შეიძლება შევიცნოთ მომღნარი ფოთლის მუჭა-ში მოთავსებით. ხელის მეტად მოჭერით ის არ იშლება და

რჩება შეკუმშული კომტად. თუ ფოთოლს დავაჭერთ თითს - მასზე უნდა გაჩნდეს ანაბეჭდი, კარგად მომღნარი ფოთოლი ხდება მსუბუქი, ოდნავ წებოვანი, ნორმალურად მომღნარი ფოთოლი ინარჩუნებს მნვანე ფერს.

ქიმიური ღნობის დამთავრების განსაზღვრა უფრო რთულია. ამ დროს ფოთოლში ვითარდება არომატი, რომელიც შეიძლება შევადაროთ ქორფა, ნორჩი, ახალი ვაშლის არომატს; თუ ფოთოლი ქიმიურად მომღნარია, მისი გამოხარშვისას უნდა მივიღოთ ოქროსფერ-ყვითელი ნაყენი; თუ ფოთოლი გადამწვარია - რუხი-ყავისფერი ნაყენი, ხოლო მოუმღნარი ფოთლის ნაყენი არის ღია მნვანე შეფერილობის. უფრო ზუსტი და მთავარი არის ღნობის ხარისხის შეფასება ბიოქიმიური ცდის ჩატარებით სპეციალურ ხელსაწყოზე (ფეონ - აპარატი), რომლის შედეგადაც ისაზღვრება ფოთლის შიგა ტენი. ნორმალურად მომღნარი ფოთლის ტენი 61-62%-ია და არ უნდა აღემატეობოდეს 64%-ს.

გრეხა - ფერმენტაციის მსვლელობის კონტროლი ხდება ბიოქიმიური რეაქტივებით, თუმცა გამოცდილმა თვალმა პრაქტიკულად შეიძლება შეამჩინოს გრეხის დამთავრების დრო. ფერმენტაცია კი იწყება გრეხის დაწყების მომენტიდან ჩაის საგრეხ მანქანებზე ე.ნ. „როლერებზე“. გრეხის მთავარი მიზანია უჯრედის დაშლა და იქიდან წვენის გამოყოფა. გამოსული წვენი თანაბრად ნაწილდება შემდგომი გრეხის შედეგად ფოთლის ზედაპირზე. წვენს აქვს არასასიამოვნო გემო, რადგანაც მისი შემადგენელი ნაწილები, რომელიც აუცილებელია ნაყენის ნარმოსაქმნელად, ვერ ასწრებდნენ განვითარებას. მათი განვითარება ხდება ფერმენტაციის პროცესში. ფერმენტაციის დროს ხდება ტანინის დაუანგვა, რის შედეგადაც უფერული ტანინი ნაწილობრივ იშლება და გადაიქცევა მოწითალო - ყავისფერი პროდუქტად, რომელიც ნაყენს

აძლევს შეფერილობას. ჟანგვის პროცესთან ერთდროულად ხდება არომატის განვითარება. რომ გავიგოთ ფერმენტაციის დასასრული, ამისათვის ვხარშავთ ჩაის. თუ მიღებული ნაყენი გამჭვირვალეა და აქვს მკვეთრი, მოწითალო - ყავისფერი შეფერილობა, შესამჩნევი მომწვანო შეფერილობის გარეშე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პროცესი დამთავრებულია. მისი არომატი თითქმის მზა ჩაის არომატს ედრება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფოთოლს აქვს ნედლი არომატი, რომელიც ქრება ხმობის შემდეგ. ფერმენტირებული ჩაის მოხარშვა 5 წთ-ის განმავლობაში უნდა ვაწარმოოთ 4-5-ჯერ; პირველი სამი ნახარში გვაძლევს მღვრიე ნაყენს, ხოლო ფერმენტაციის დასასრულის მეოთხე-მეხუთე ნახარშის დროს ნაყენი გამჭვირვალე, კრიალა და ნათელი ხდება.

ფერმენტაციის დამთავრების შემდეგ, ფოთოლს ახმობენ ჩაის სახმობ ღუმელებზე. თუ ფოთოლს ხმობა აკლია, ფერმენტაციის პროცესი გრძელდება და ჩაის ნაყენი იქნება ძალიან რბილი. თუ ფოთოლს ვახმობთ ძალიან მაღალ ტემპერატურაზე, ფოთოლი იფარება ქერქით, შიგ კი რჩება სინესტე. თუ ხმობა წარმოებს ცხელი ნოტიო ჰაერით, მაშინ ის კარგავს ისეთ შემადგენლობას, რომელიც აძლევს მას გემოს და არომატს. ძალიან ნელი ტემპით გამხმარი ფოთოლი გამოდის შეორთქლილი და კარგავს სიმწკლარტეს, ამიტომ ხმობის პროცესის კონტროლს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ძლიერ მაღალი ტემპერატურა იწვევს სიდამწვრის არომატის წარმოქმნას, რომელიც შემდგომ არ შეიძლება მოვაშოროთ. თუ ჩაის აკლია ხმობა, მისი მოთავსებით ცერა და საჩვენებელ თითზე და მისი გასრესით თითზე რჩება რბილი, გაუხმარი ნანილი, თუ მზადაა, მაშინ ჩაის მასა იქცევა ფხვნილად, უფრო ზუსტი ანალიზი ხმობისა ხდება დეგუსტაციის დროს.

ტიტესტერი შემსყიდვებელი

ტიტესტერ - შემსყიდვებელი ჩვეულებრივ მუშაობს შემსყიდველი სააგენტოს კანტორაში. მათი მუშაობა იწყება იმ მომენტიდან, როცა მიიღებს ჩაის ნიმუშებს გამოფენილს წარმოსადგენ აუქციონზე. ჩაის გადამუშავების სეზონის დროს, ტიტესტერს უხდება ძალიან დიდი მუშაობა, დღეში ხანდახან 500 ნიმუშის გასინჯვა. საზღვარგარეთის და განსაკუთრებით ინგლისის მსხვილი სავაჭრო ფირმებს ჰყავთ რამდენიმე ტიტესტერი. ერთი მუშაობს მხოლოდ ინდოეთის ჩაიზე, მეორე ცეილონის ჩაიზე და ტიტესტერი, რომლებიც მუშაობენ მწვანე ჩაიზე. ასევე არიან ტიტესტერები, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ ფოთლოვან ჩაიზე, ხოლო მეორენი — მხოლოდ წვრილ ჩაიზე.

როცა შემსყიდველი ფირმა - კანტორა ცდილობს და დაინტერესებულია აუქციონიდან უფრო იაფფასიანი ჩაი განდევნოს, მისი გასინჯვა წარმოებს მოუხარშავად, ხმელად, როგორც ინგლისელები ეძახიან „გასინჯვა ცხვირზე“. აქ მხოლოდ აღირიცხება ხმელი ჩაის არომატი და გარეგანი სახე. როცა ტიტესტერს აქვს განსაზღვრული დავალება, ყველა ჩაი იხარშება დეგუსტაციის ყველა წესების დაცვით. შედეგები და შეფასებები შეიტანება კატალოგში და წარმოადგენს სახელმძღვანელოს აუქციონზე შესყიდვის დროს. ტიტესტერი შემსყიდველის სამუშაო ანალოგიურია და ერთნაირია ინგლისში, კოლომბოსა და კალკუტაში, სადაც მიმდინარეობს აუქციონები იავასა და სუმატრას ჩაის ვაჭრობისას.

ამ დროს ჩაი იყიდება მხოლოდ კონტრაქტით, ხელშეკრულებით, დამტკიცებული სტანდარტების მიხედვით, რომელიც ფორმდება კერძო შემსყიდველი ფირმებსა და ჩაის პლანტატორებს შორის. აქ ტიტესტერების მუშაობა დადის არბიტრაჟის დონეზე, როგორც ექსპერტები ანუ არბიტრაჟ-

ექსპერტები ადგენენ, თუ ნიმუშთა პარტია როგორ პასუხობს წინასწარ დადგენილ, ეტალონებს და ამის შესაბამისად აკეთებენ ამა თუ იმ ცვლილებებს ფასებში.

ტიტესტერ-შემსყიდველმა უნდა იცოდეს არა მარტო ის ჩაი, რომელსაც ის ყიდულობს, არამედ უნდა იყოს გაცნობილი იმ ქვეყნების მომხმარებელთა გემოვნებებს და უმთავრესად იმ ქვეყნის მოთხოვნებს, რომლისთვისაც ის მუშაობს. მაგალითად, ინგლისელებს უყვართ ძალიან „ექსტრაქტული ჩაი, ძლიერი ნაყენით, ირლანდიელებს უყვართ ძლიერი მწკლარტე ჩაი, შოტლანდიელებს უყვართ არომატული ჩაი და უმეტესად ხმარობენ დარჯილინგის ჩაის. ამერიკელები არ აქცევენ დიდ ყურადღებას ჩაის შიდა ხარისხს, ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩაის „უბორკას“, გარეგან სახეს. განსაკუთრებით უყვართ ფოთლოვანი ჩაი, უმეტესად orange peco (OP) „ორანჟე პეკო“ ავსტრალიელებს, ირლანდიელებისამებრ, უყვართ მწკლარტე და კარგი ნაყენის ჩაი, წვრილი ჩაი უყვართ (BP) არაბეთში, მესოპოტამიაში, სამარყანდში, პალესტინაში, ეგვიპტეში, საბერძნეთში. სპარსეთში მოითხოვენ კარგი გარეგანი სახის ჩაის, რომელსაც აქვს დიდი რაოდენობით ტიფსი, ამიტომ ამ ქვეყნების შემსყიდველები ჩაის ყიდულობენ უფრო აგვისტოში, სექტემბრის ან შემოდგომის პერიოდში. ამრიგად, სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებელთა გემოვნება განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ტიტესტერ-დამხარისხებელი

ეს ტიტესტერები ძირითადად ჩაის გადამწონ ფაბრიკებში მუშაობენ. მათ კარგვად უნდა იცოდნენ სხვადასხვა წარმოშობის ჩაი, ბაზარი და მომხმარებელთა გემოვნება. იმ წყლის ხარისხი, რომელ რაიონშიც გამომუშავდება ჩაი. ჩაის

სავაჭრო ნარევებს ამზადებენ წინასწარ დადგენილი და დამტკიცებული რეცეპტურის მიხედვით. ჩაის გადამწონი ფაბრიკა წარმოადგენს ჩაის ხარისხის საბოლოო სახეს. წარსულში იყო ასეთი გამონათქვამი, რომ ტიტესტერის ენის წვერზეა დამოკიდებული ყოველი ფირმის განვითარება და კეთილყოფა. ტიტესტერ-დამხარისხებლის ოსტატობას წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე ფაბრიკული ხარისხიდან ისეთი ნარევის შექმნა, რომელიც მისცემს ძვირფას ფაბრიკულ მარკას, ვიდრე ცალკეული შემადგენელი სახეები.

საბჭოთა ტიტესტერებს არა ჰყავდათ ბადალი სავაჭრო ნარევების შექმნაში. ევროპასა და ამერიკაში „რუსული ნარევები“ მიიჩნეოდა საუკეთესოდ. ზოგიერთი ფირმა იმისათვის, რომ დაიცვას თავისი სახელი და წარმატება, ეტიკეტებზე აწერს „რუსული ნარევი“, „კუზმიჩ ჩაი“ /კუზმიჩევის ფირმა/ და სხვა.

ტიტესტერ-დამხარისხებლებს ევალებათ, აგრეთვე, შეადარონ საქონელი მიწოდებული საფოსტო ნიმუშებს, ანარმონ ფასთა სხვაობის გაანგარიშება.

ხარისხის მართვის პრინციპები

მეცნიერების მიერ შესწავლილი ნორმებისა და წესების მიხედვით უნდა ხდებოდეს სტანდარტების ნორმების შემუშავება, მართვა და სიზუსტის დაცვა:

დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი აქ ორ საწყისიშია თავმოყრილი:

ა) ცენტრალიზმის პრინციპი (ერთი ცენტრი უნდა მართავდეს ხარისხს. მაგ. სტანდარტების კომიტეტი ან მისი ანალოგი ორგანო, მაგრამ უნდა მონაწლეობდნენ კოლექტივებიც);

ბ) დემოკრატიზმის პრინციპი (ხალხთა მმართველობა, ბერძ. სიტყვა), ე.ი. ხალხის მმართველობა ეს ორივე შეხამებული უნდა იყოს ერთმანთთან. დემოკრატიზმი და ცენტრალიზმი უნდა ავსებდეს ერმანეთს;

გ) დარგობრივი და ტერიტორიალური მართვის შეხამებების პრინციპი ხარისხის მართვის საქმეში;

დ) დაინტერსებისა და სტიმულირების პრინციპი;

ე) კონტროლის პრინციპი, პროდუქციის გადამუშავების ყოველ ეტაპზე.

ხარისხის მართვის საშუალებებია ის აპარატურა, რომლითაც ფასდება ხარისხი. მაგ. მოწყობილობანი, ბიოქიმიური ლაბორატორიის ხელსაწყოები, აპარატები, სტანდარტები, ნორმები და სხვა.

გასულ წლებში ჩვენ ქვეყანაში შემოღებული იყო ხარისხის მართვის ახალი სისტემა - პროდუქციის ატესტაცია. ეს პროდუქციის ხარისხის ამაღლების მძლავრი საშუალებაა.

ატესტაცია არის პროდუქციის ხარისხის ამაღლება და პროდუქტის უვნებლობის შემოწმება, შეფასება, ეს ნიშნავს რომ 2-3 წელიწადში ერთხელ გეგმიურად პროდუქციის ყოველმა ასორტიმენტმა ხარისხმა, გაიაროს სპეციალური ორგანოების ან სპეციალისტების მიერ შემოწმება ანუ მოახდინონ პროდუქციის უვნებლობისა და ხარისხის ფაქტობრივი მაჩვენებლების სტანდარტით დადგენილ ნორმებზე შედარება. ამ შემოწმების დროს ასორტიმენტის ყოველ ხარისხს აჯგუფებენ 3 კატეგორიად:

1. უმაღლესი კატეგორია

2. პირველი კატეგორია

3. მეორე კატეგორია

1. უმაღლესი კატეგორიას მიეკუთვნება ის პროდუქცია რომელიც თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით შეესაბამება.

ბა და სჯობია სამამულო სტანდარტებს და მსოფლიო საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა ანუ, იგი მიიჩნევა კონკურენტუნარიან პროდუქციად.

2. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი პროდუქცია, რომელიც თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით შეესაბამება მოსახლეობის თანამედროვე მოთხოვნებს და თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით უპასუხებს პროდუქციის უნებლობის პარამეტრებს.

3. მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი პროდუქცია, რომელიც თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით არ შეესაბამება მოსახლეობის თანამედროვე მოთხოვნებს; ასეთი პროდუქცია მორალურად მოძველებულია და დროებით ან სულ უნდა მოიხსნას წარმოებიდან.

უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების გაფართოების სტიმულირების მიზნით ამ პროდუქციის ფასზე წესდება დანამატი, რომელიც ჩაირიცხება მატერიალური წასალისების ფონდში და რომელიც მუშა მოსამსახურეთა პრემირებას ხმარდება.

ხარისხის შეფასების პიოლოგიური ასპექტები

ყნოსვისა და საგემოვნო ორგანოთა შეგრძნებით უმთავრესად განისაზღვრება დეგუსტაციის მთელი პროცესი. გამოცდილ ტიტესტერს ამ ორი გრძნობის განვითარება, საშუალებას აძლევს, დაადგინოს ხარისხი, შეაფასოს და აღნიშნოს ჩაის წარმოშობის ადგილი, პლანტაცია, ფაბრიკა, სადაც დაამზადეს ჩაი, აგრეთვე, შეუცნობლად განსაზღვროს ამათუ იმ დეფექტის წარმოშობის მიზეზი, დაადგინოს, სახელდობრ ტექნოლოგიური პროცესის რომელ სტადიაში მოხდა ამ დეფექტის წარმოშობა.

ხშირად საკმარისია ერთხელ ვუყნოსოთ ჩაის და დავადგინოთ, რომ მას მიუღია სიდამწვრე და საჭიროა სახმობ ღუმელზე დავუწიოთ ტემპერატურას. ფერმენტაციის მიმდინარეობის დროს წარმოიქმნება სუნის მთელი გამა, რომელსაც გვაძლევს ფრმენტაციის პროცესში მყოფი ჩაის ფოთოლი და ა.შ.

ყნოსვისა და გემოვნების გრძნობის არსი ქიმიურია ე.ი. ანალიზური გრძნობებია: ხოლო ენა და ცხვირი წარმოადგენს ლაპორატორიას, რომელშიც ხშირად მიმდინარეობს უსასრულოდ პატარა სიდიდეთა ანალიზი.

ცდებით დადგენილია, რომ ადამიანი ჰაერში გრძნობს ვარდის ზეთის და მუსკატის ნაყენის ერთი გრამის ერთ ორასმემილიონედ ნანილს, ხოლო ცხვირით შეიძლება შევიგრძნოთ ერთი გრამის ერთი მეორედი და მესამედმილიარდი წილი, ხოლო მერკანტანის ნაყენის არომატი ჰაერის 1 მ³-ში. ამასთან შედარებით ქიმიკოსის ხელოვნება არაფერია, ქიმიკოსი ხანდახან არ ენდობა თავის აპარატებს და რეაგენტებს და იშველიებს ცხვირს. ცხვირი არის ზოგჯერ ყველაზე ერთგული მოსამართლე ზოგიერთი ნივთიერების განსაზღვრისას, მაგალითად, დარიშხანის.

გემო და ყნოსვა უნდა განვიხილოთ ერთად, რადგან ორივე ეს გრძნობა ისე არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ზოგჯერ მათზე ვლაპარაკობთ, როგორც ერთ მთლიანზე. არის ასეთი აზრი, რომ /Деккер/ თუ ცხვირი დახშულია ხელით, შეიძლება ვერ გავარჩიოთ ხახვის გემო ვაშლისაგან, შეიძლება ცდა ჩავატაროთ თეთრ და წითელ ღვინოზე. სურდოს დროს არა მარტო ძნელია ჩაის არომატის განსაზღვრა, არამედ ძნელდება ჩაის ნაყენის გემოს შეფასებაც.

როგორც ცნობილია, საგემოვნო უნარიანობა აქვს ენის ფუძის ზედაპირს, მის წინა ნანილსა და ნაპირებს, მაშინ, რო-

დესაც ენის შუა ნაწილის ზედაპირს დაკარგული აქვს გემოვ-ნებით გრძნობები, საგემოვნო შეგრძნებებს ფლობს, აგრეთ-ვე, სასა და ხორხის ზედაპირი. ენის ფუძე არის ადგილი, რო-მელიც უფრო მგრძნობიარეა მწარე გემოზე, ენის წვერის წი-ნა ნაწილი - ტკბილზე, ხოლო ენის ნაპირები და კიდეები - მუავეზე.

ყნოსვის ორგანოა ცხვირი, სადაც ყნოსვის მგრძნობია-რობა თავმოყრილია ყველაზე მაღლა, ე.ი. ზედა ნიჟარაზე, ცხვირის ძგიდეში, ტიხარში - მუქი ყავისფერი ლაქის სახით, რომელიც ხილულია შეუიარაღებელი თვალით. აქ მოთავსე-ბულია ათასგვარი თხელი ნაზი აპარატი, რომელიც ჩალაგე-ბულია ლორწოვანი გარსის უჯრედებს შორის და რომელთაც აქვთ ცალ მხარეზე პატარა, ნაზი ფუნჯიანი ჯოხების სახე. ყოველი ჯოხის მეორე ბოლო გადადის წვრილ ნერვში, რომ-ლებიც გადიან საცრისმაგვარ ძვალში და მიისწრაფიან მაღ-ლა თავის ქალის კოლოფისაკენ, შემდეგ განიშტოებიან საყ-ნოს კოლბაში და აქ ეხებიან ნერვული უჯრდების განშტოე-ბებს ანუ საყნოსი ნერვის ბუსუსებს, რომლებიც გადასცემენ შემდეგ ყნოსვის გრძნობას ტვინში. მეცნიერებისათვის უც-ნობია, თუ როგორ მოქმედებს სუნიანი ნივთიერება ნერვე-ბის ბოლოებზე, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსე-ბობს სხვადასხვაგვარი საყნოსი ჯოხი, სხვადასვა სუნის შეგ-რძნებისათვის, რაც უფრო ძლიერდება განვითარებული ყნოსვის გრძნობა, მით უკეთესად ვიმახსოვრებთ და შევიგ-რძნობთ სუნის სხვადასხვა იერს. სუნის რიცხვი განუზომ-ლად დიდია, გამოცდილ ტიტესტერს მეხსიერებაში აქვს სხვადასხვაგვარი სუნისა და მათი ნაირსახეობების უდიდესი რაოდენობა და როდესაც ის სინჯავს უკვე ცნობილ სუნს, მყარდება კონტაქტი მის მეხსიერებაში არსებულ შესაბამის სუნთან. ამიტომ რაც უფრო დიდხანს და გულდასმით მუშა-ობს ტიტესტერი, მით უფრო მეტ სხვადასვა სუნს აგროვებს

და აღმოაჩენს ჩაიში უმცირეს განსახვავებასაც, რაც აძლევს მას შესაძლებლობას, ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვროს ამა თუ იმ ჩაის ხარისხი. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია ტიტესტერებისათვის წარმოებაში მუშაობისას, სადაც აუცილებელია სუნების ნაირსახეობათა ცოდნა და სულ უფრო ახალ-ახალი არომატების აღმოჩენა და გაცნობა.

ამით ყნოსვა არსებითად განსხვავდება გემოსგან. ქიმიკოს-ბიოლოგთა უმრავლესობა აღიარებს გემოს 4 ძირითად შეგრძნებებს: კერძოდ - მნარეს, ტყბილს, მლაშეს და მჟავეს, რომელთა სხვადასხვაგვარი შერწყმით, როგორც ურთიერთშორის, ისე ყნოსვის, თერმულ და მხედველობის შთაბეჭდილებებთან ერთად, შეიქმნება გემოს შეგრძნების მთელი სამყარო. მოვიყვანოთ სურდოს მაგალითი:

ყველასათვის ცნობილია, როგორ ზუსტად ისაზღვრება გემოს შეგრძნებათა არე მაგალითად ვანილის გემო, ჩაის სინაზე და ა.შ., რომელიც დაიყვანება არსებითად ყნოსვის შეგრძნებებზე და ამის გამორიცხვით კი /ყნოსვის/ ყველაზე გემრიელი საჭმელი და დახვეწილი სასმელებიც კი კარგავენ ადამიანისათვის თავის სიმშვერიერეს; მეორე მხრივ, შეხების შეგრძნებები გემოს გასინჯვის დროს პირის ღრუში განაპირობებენ იმავე დამახასიათებელი მხარეებს საგემოვნო შეგრძნებებისა, რომლებიც განისაზღვრებიან ცნებებით — მნარე, მწკლარტე, წებოვანი, შემკრავი, სახამებლიანი და ა.შ. სასიამოვნო და სიცხარის გემო, მაგალითად, პიტნისა და მდოგვის გასინჯვის დროს აიხსნება თერმული შეგრძნებებით გემო. გამოჩენილი რუსი მეცნიერის, ფიზიოლოგი ი.პ. პავლოვის გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სწორედ სასიამოვნო გრძნობათა შეგრძნებები წარმოადგენს საჭმლის მომნელებელი ორგანოების უფრო ენერგიული და სწრაფი მუშაობის მომწესრიგებელს. ამიტომ კვების პროდუქტებში რაც მე-

ტია საგემოვნო და არომატულ შთაბეჭდილებათა ჰარმონია, მით უფრო მაღალია მისი ღირებულება.

საწარმოო სასინჯი ტიტესტირია

წესის მიხედვით, დეგუსტაცია უნდა ტარდებოდეს განსაკუთრებულ და სრულიად განცალკევებულ ოთახში ანუ ე.წ. სასინჯ სადგომში, რომელიც უნდა იყოს ვრცელი და ნათელი. ჩაის დეგუსტაციის დროს უდიდეს როლს ასრულებს ბუნებრივი განათება ანუ სინათლე. ამიტომ ეს კომპონენტი არის უაღრესად ანგარიშგასაწევი. ამიტომ როცა სასინჯ ოთახს ვირჩევთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ, პირველ რიგში, მის განათებას, რომელიც უნდა იყოს სრული, ერთგვაროვანი და მუდმივი, სადგომში არაპირდაპირი ნაკადით არ უნდა აღწევდეს ანარეკლი მზის სხივები. მზის უშუალო სხივები გვაძლევს არასწორ განათებას და შესაბამის შუქ-ჩრდილებს, შავ ან კაშკაში წერტილებს და სხვა, რომელიც არ გვაძლევს ობიექტურ საშუალებას ჩაის ნაყენის შესაფასებლად, ამისათვის საჭიროა, საწარმოო სასინჯი მოთავსებული იყოს შენობის ჩრდილოეთის მხრიდან თუ შენობა მოკლებულია ამ პირობებს, აუცილებელია ნაყენისა და გამონახარში ფოთლის ფერის გასინჯვა და შედარება ვანარმოოთ დღის ერთსა და იმავე დროს, როცა საწარმოო სასინჯში გვაქვს საუკეთესო და სტაბილური განათება. გარდა ამისა, ძალიან საყურადღებოა, რომ სადგომი იყოს იზოლირებული, დაცული ყოველგვარი ხმაურისაგან და იყოს ისეთი თავისუფალი, რომ რამდენიმე ტიტესტერს შეეძლოს მუშაობა. მშრალი ჩაის ჰიგროსკოპიულობის გამო ოთახში არ უნდა აღწევდეს სხვადსხვა გარეშე სუნი, თამბაქო, ნავთობ პროდუქტი და სხვა, რომელსაც შეუძლია მუშაობაში ხელის შეშლა. ტიტესტერის

მუშაობა მოითხოვს სიმშვიდესა და გონებამხვილობას. ყოველგვარი ხმაური და გარეშე სუნი დამღუპველად მოქმედებს სამუშაოთა პროდუქტიულობაზე და აქვეითებს შეგრძნების საერთო ტონუსს.

სასინჯის ავეჯისთ გაწყობა უნდა ხდებოდეს მხოლოდ აუცილებელი ინვენტარით. უნინარეს ყოვლისა, 2-3 გრძელი და მაღალი მაგიდა, რომლებზედაც წარმოებს თვით გასინჯვა-დეგუსტაცია; მაგიდები თავსდება ოთახის იმ მხარეზე, სადაც მეტია განათება, აგრეთვე, ოთახში უნდა იყოს კარა-დები - ჩაის ნიმუშების შესანახად, პატარა საწერი მაგიდა - შეფასების შედეგების ჩასაწერად, სპეც. ურნალებისა და ტექნოლოგიური პასპორტების წარმოებისათვის; მაღალი ტაბურეტები და ჩვეულებრივი სკამები. სადეგუსტაციო მა-გიდები მზადდება, საერთოდ, ვიწრო, მაღალი და საკმაო სიგრძის, ზედაპირი უნდა დამზადდეს ხის ისეთი მასალისაგან, რომელსაც არა აქვს რაიმე სპეციფიკური სუნი (როგორიც არის ფიჭვის ან ნაძვის ხის მასალა). ზოგჯერ მაგიდას ფარავენ მარმარილოთი, შუშით, ლინოლიუმით, აგრეთვე, თუთიის ფურცლით. ავეჯი უნდა იყოს დამზადებული მაგარი უსუნო ხისგან.

დეგუსტაციის ჩასატარებლად აუცილებელია შემდეგი აპარატურა და ჭურჭელი: წყლის ასადუღებელი ელექტროჩაიდანი. სხვა მეთოდი წყლის ადუღებისა /ნავთჭურა, სპირტჭურა, გაზი და ა.შ./ ყველა შემხთვევაში მიუღებელია. არის ისეთი შეხედულება, რომ სამოვარში ადუღებული ჩაის არომატი უკეთესია, ვიდრე ჩაიდანში, მაგრამ ამას არ უნდა დავეთანხმოთ, რადგან სამოვარში წყალი მუდმივად ახალი ადუღებული არ არის. სამოვარში მუდამ გვაქვს გადადუღებული წყალი. ამასთან, მას აქვს ხშირად უმნიშვნელო მხუთავი გაზის სუნი, რომელიც, თავის ტკივილის გარდა, აქვეითებს მგრძნობელობას. ელექტროჩაიდნის საშუალებით ვღე-

ბულობთ ახალ წამოდუღებულ წყალს და, რადგან ის სწრაფად არ ციდება, წყალი ჭურჭელში დასხმის პროცესშიც დუღს.

ჩაის დასაყენებლად, არომატისა და ნაყენის შესაფასებლად იხმარება სრულიად თეთრი ფაიფურის ფიალა და ფაიფურისვე პატარა ჩაიდნების წყობა, დაახლოებით 150 სმ³ წყლის ტევადობით.

ჭურჭლის გარეთა ქვედა ძირი არის გაუპრიალებელი, მასზე ფანქრით ადვილად იწერება ნომრები. გასინჯული ჩაის ნიმუშების შეფასება იწერება სპეციალურ ჟურნალში და აღინიშნება, რომელი ნომერი ჭურჭელი შეესაბამება ამა თუ იმ ჩაის ნიმუშს; რადგანაც დევუსტაცია წარმოებს დახურულად, ამიტომ ჩაწერილი ჩაის ხარისხი გაიგება მხოლოდ დეგუსტაციის დამთავრების შემდეგ.

ნიმუშების ასაწონად მიღებულია ლაბორატორიული უდლიანი სასწორი 3-გრამიანი წონაკით. მოხერხებულობისათვის ხშირად წონაკს ძაფით ამაგრებენ სასწორზე. ჩაის მოხარშვა ანუ ნაყენის დაყენება გრძელდება 5 წუთის განმავლობაში. დროის დასანიშნავად იხმარება სასიგნალო საათები, რომელიც რეკავს 5 წთ. ინტერვალით დაყენების შედეგად, ასევე, გამოიყენება სილის 5-წუთიანი საათიც.

ნაყენის ფერისა და სისქის განსაზღვრისათვის გამოიყენება სპეციალური ხელსაწყო, რომელიც შედგება კალორიმეტრული შკალისაგან და რომელსაც ეწოდება „კოლერნიკი“. ის წარმოადგენს გრძელ ყუთს, რომელშიც მოთავსებულია ერთი და იმავე დიამეტრის მქონე 12 ცილინდრი. ცილინდრები დამზადებულია მინისაგან, შეღებილია ჩაის ნაყენის ფერად. შეფერილობის ინტენსივობა დამოკიდებულია ცილინდრის კედლის სისქეზე. 11 ცილინდრი ყველაზე მუქია და ჩამოსხმულია შიგა ღარის გარეშე. ცილინდრები ისეა განლაგებული რომ ფერები მუქიდან გადადის სრულიად ღია ფერის ნაყენამდე.

„კოლერნიკით“ მუშაობა წარმოებს შემდეგნაირად: ჩაის ნაყენი ფიალიდან ჩაისხმება სინჯარაში, რომლის დიამეტრი უდრის ცილინდრის დიამეტრს. ამ სინჯარას ათავსებენ ცილინდრებს შორის და ადარებენ ცილინდრში მოთავსებული ჩაის ნაყენის ფერს. „კოლერნიკი“ თავსდება ფანჯარასთან, ისე, რომ ყველა ცილინდრი განათებული იყოს კარგად და თანაბრად. „კოლერნიკი“ გამოიყენებოდა ყავისფერი ნაყენის მქონე ჩაისათვის; რაც შეეხება ქართულ ჩაის, უფრო მუქი - მოწითალო ელფერისაა, ამიტომ თუ მოვათავსებთ სინჯარა-ში სამხრეთის ჩაის და შევადარებთ ქართულს, მივიღებთ უფრო ზუსტ შეფასებას.

თავი V

ჩაი მსოფლიო პაზარზე

საინტერესოა, დავახასიათოთ ჩაის ზოგიერთი პაზარი:

1. ლონდონის ჩაის პაზარი

ჩაით ვაჭრობის მსოფლიო ცენტრად მიიჩნევა ლონდონი, რომელსაც მიენიჭა წოდება „ჩაით ვაჭრობის პოლუსი“.

მთელს მსოფლიოში ფასი ჩაიზე დგინდება ლონდონის აუქციონზე დაწესებული ფასების მიხედვით.

როგორც კი ჩაის პროდუქცია მოთავსდება საწარმოთა მზა პროდუქციის საწყობებში, ისინჯება მათი შეფუთვა, ყუთების გარეგანი სახე და მდგომარეობა. ამის შემდეგ ყუთები აიწონება და მათზე კეთდება ხელახალი მარკირება, რომელსაც ცნობენ სწორად. 20 ყუთიდან 3 შერჩევით იღება და კონტროლდება მათი ტარა. 21-60 ყუთის პარტიიდან ტარა ისაზღვრება 5 ცარიელი ყუთის საშუალო წონიდან, 60 ყუთის ზემოთ კი 7 ცარიელი ყუთის საშუალო წონით.

ჩაის ყველა ფირმას ჰყავს თავისი ბროკერი (მაკლერი, ანუ გამყიდველსა და მყიდველს შორის შუამავალი).

ფერმერი, რომელსაც უნდა თავისი ჩაი გაყიდოს უახლოეს აუქციონზე, აგებინებს თავის ბროკერს და სთხოვს მოათავსოს პროდუქციის დასახელება კატალოგში.

გამყიდველი ბროკერი აგზავნის ინსპექტორს საწყობში, ყველა ყუთს უკეთდება სპეციალური ბურღით ნახვრეტი და აიღება ნიმუში, თუ ყველა ყუთის ნიმუში ედრება ერთმანეთს, მხოლოდ მაშინ შეიძლება, ის ჩაი გატანილი იქნეს აუქციონზე. მყიდველი კი საწყობში გზავნის სპეციალურ პირობას ანუ ე.ნ. „სემპლერს“ ნიმუშების ასაღებად.

როცა ნიმუშები მიწოდებული იქნება შემსყიდველ ბროკერთან, ყველა გამყიდველი ბროკერი გამოუშვებს კატალო-

გებს ჩაის დასახელებით ჩაის გაყიდვის ერთი კვირით ადრე. თავისი სამუშაოსათვის გამყიდველი ბროკერები ჯილდოვ-დებიან რეალიზებული ჩაის 1%-ის ოდენობით.

ჩაის შესყიდვას ამ ბროკერების მეშვეობით აქვს შემდე-გი დადებითი მხარე:

1. ბროკერი არჩევს შესაფერ ჩაის თავისი კლიენტები-სათვის და დროულად აწვდის მათ ნიმუშებსა და ფასებს.

2. წვრილ ვაჭრებს უადვილებს, შეარჩიონ და შეიძინონ ის ჩაი, რომელიც მათ სჭირდებათ.

3. შემსყიდველებს უადვილებს, დაიცვან და შეინარჩუ-ნონ შესყიდვების იგივეობა.

4. მყარი და საიმედო პარტნიორები და გადამხდელები ჩაის ყიდულობენ შედარებით იაფად, ვიდრე გარეშე მყიდვე-ლები.

ჩაის წარმოების სეზონში ჩაის გაყიდვა სწარმოებს 4 - ჯერ კვირაში. ორშაბათობით იყიდება ინდოეთის ჩაი, სამშა-ბათობით ცეილონის, ოთხშაბათობით ისევ ინდოეთის და ხუთშაბათობით - იავასა და სუმატრას ჩაი.

2. კალკულის ჩაის პაზარი

კალკულის ჩაის ბაზარიც საკმაოდ დიდია. აქ ბაზრობა არის ყოველ სამშაბათს. აუქციონის სეზონი იწყება ივნისის პირ-ველ სამშაბათს და მთავრდება იანვრის ბოლოს. გაყიდვის „პიკე-ბად“ ითვლება სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი.

ეს ბაზარი განსხვავდება სხვა ბაზრებისგან იმით, რომ ის ატარებს სეზონურ ხასიათს, მისი ხანგრძლივობა არის 8 თვე.

კალკულის სეზონი ჩაის ხარისხის მიხდვით შეიძლება გავყოთ 5 პერიოდად:

1. სეზონი დასაწყისის ორ კვირას - საკმაოდ რიგიანი ჩაი;
 2. შემდეგი ორი თვე - კარგი ჩაი;
 3. შემდეგი ორი თვე - წესიერი ჩაი, შემოდგომის ხასიათის ჩაის ჩათვლით;
 4. შემდეგი ორი თვე - შედარებით უარესი;
 5. იანვარ-თებერვალი - საერთო ხარისხი ცუდია.
- აქაური ბაზარი საინტერაცია არა მხოლოდ სეზონურობის მხრივ, არამედ ჩაის სხვადასხვა ხარისხით სეზონის მიხედვით. ასამისა და დარჯილინგის ინდოეთი ჩაი მეორე კრეფისას ფასდება თავისი განსაკუთრებული და განკერძოებული ხარისხის გამო. აგრეთვე, არსებობს „წვრილმანი ჩაის“ სახეობები, რომელთაც აქვთ საშუალო ხარისხი, ეს გახლავთ სეზონის ბოლო „შემოდგომის ჩაი“, რომელიც თავისი შენებული ვეგეტაციისა და ამინდის სიგრილის გამო არის ნაზი არომატის მქონე. ეს ჩაი სარგებლობს განსაკუთრებული დიდებით დოარსის რაიონიდან, თუმცა ნაზ არომატთან ერთად დასვრილია წითელი ღეროებით.

დარჯილინგის რაიონში პლანტაციები გაშენებულია 3000 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ ჩაის აქვს განსაკუთრებული, სრულად თავისებური არომატი. ჩრდილოეთი ასამის ჩაი არომატულია, აქვს მაგარი და მნიშვნელოვანი, და ტიპისის დიდი შემცველობა. შემდეგ მოდის დოარსის ჩაი, რომელიც განლაგებულია დარჯილიგის ქვემოთ. ეს რაიონი იძლევა კარგი ხარისხის ჩაის სეზონის ბოლოს. ინდოეთის შემდეგი ჩაის რაიონებია კაჩახი და სიდხეტი. ეს რაიონები არ იძლევიან მაღალხარისხიან ჩაის, ისინი, როგორც ინგლისელები ამბობენ, მუშაობენ რაოდენობაზე, ინდოეთის სამხრეთი ნაწილის ტრავანკორის, ნილგრის და სხვათა ჩაი თავისი ხარისხით ეთანაბრება ცეილონის ჩაის. ჩაი აქ გაშენებულია ბორცვიან ადგილზე.

3. კოლეგიალური მუნიციპალიტეტის განვითარების პრინციპები

კოლომბოში ჩაის ბაზარი გახსნილია მთელი წლის განმავლობაში. ჩაის აუქციონი შესვენების გარეშე მუშაობს მთელ წელიწადს, მაღალხარისხიანი ჩაი იყიდება წელიწადში ორჯერ: თებერვალსა და მარტში. შემდეგ კი წვიმების პერიოდში — სექტემბერ-ოქტომბერში. ცეილონის კუნძულის ჩაი შეიძლება დავყოთ მაღალმთაიანი რაიონების ზონად, რომლებიც იძლევიან ძლიერ არომატულ ჩაის და დაბლობის ზონად, რომლებიც იძლევიან უფრო ნაკლები ხარისხის პროდუქციას. საუკეთესო ჩაის რაიონებია: ნავარა - ელია, ბატურატა, უვა და სხვა.

4. ჩაის ბაზარი ბაზარისასა და ამსტერდამში

თითქმის ყველა ჩაი იავისა იყიდება დადგენილი სტანდარტის მიხედვით მთელი წლისათვის გაფორმებულ ხელშეკრულების მიხედვით. თუ ჩაი არ ედრება წინასწარ შეთანხმებულ სტანდარტს ან თუ შეინიშნება რაიმე დეფექტი - სიდამწვრე, სიმჟავე, კვამლის სუნი და ა.შ., მიმართავენ არბიტრაჟს ექსპერტს ტიტესტერების მეშვეობით, რომლებიც ადგენენ ფასდაკლებას სტანდარტთან შედარებით. ზოგიერთი ნაწილი მაღალი ხარისხის ჩაისა - კერძოდ იავისა და სუმატრის, იყიდება ამსტერდამში. იავისა და სუმატრის ჩაის ხარისხი ახლოსაა ინდოეთის საშუალო ჩაისთან. ყველას სჯობია პენტალენგანის რაიონის ჩაი, მაგრამ ინდოეთის დარჯილინგს, ასამას, ცეილონის - ნუვარა - ელიასა და უვას არ შეედრება. იავისა და სუმატრის მიერ წარმოებული ჩაის ძირითადი მასა საშუალო ხარისხისაა.

5. ჩაის პაზარი ჩინეთში

ჩინეთის ბაზარი განსხვავებულია ყველასაგან. დაწყებული გლეხი პლანტატორიდან, რომელიც ამუშავებს თავის ჩაის, აძლევს ნახევარფაბრიკატს ტიბენს, რომელიც ამუშავებს მას პროდუქციად კუსტარულ პატარა ფაბრიკებში და ამის შემდეგ იყიდება ჩაი. აქ მიღის პირდაპირი ვაჭრობა, მყიდველი უნდა იყოს მცოდნე და იცოდეს, რომელზე შეიძლება ფასის რეგულირება დაკლება მომატება.

1. კიმინის, ნინჯოუს და კიანბინის პროვინციები ამუშავებენ შავ ჩაის. იგი მაღალი ხარისხისაა და იყიდება შანხაის რაიონის ბაზარზე. დაბალი ხარისხისაა ვენჩაოს შავი ბაიხის ჩაი. შანხაის ბაზარზე იყიდება, აგრეთვე, ჩინგტოსა და პაკლაბის ჩაი. ასევე, შანხაის რაიონის ბაზარზე იყიდება ყვავილოვანი და მწვანე ბაიხის ჩაი. ყველაზე კარგია ხაიფონი და ჩუნმის ჩაი.

2. ხასიათისა და ხარისხის თვისების მიხედივით ჩინური ჩაი შემდეგი შემადგენლობისაა - კიმინის ჩაი სქელი და არომატულია, აქვს სრული გემო. ნინჯოუს კი პირიქით რბილი გემოთი ხასიათდება და აქვს ყვავილოვანი არომატი. ხანკოუს ჩაი ინფა - არის სოლიდური გარეგანი სახის, მაგარი, ფისის არომატითა და გემოთი, აქვს კარგი ნაყენი.

3. ხარისხის გავლენა ფასზე ხდება უბრალოდ: მთიანი ადგილების ჩაი — კიმინის, ნინჯოუს, ხაიფონის, ჩუნმის პროდუქცია — ბაზარზე მეტად ფასობს, ვიდრე დაბლობის რაიონების ჩაი. ეს იმდენადაა დადგენილი, რომ საკამათოც არ არის ვაჭრებსა და მყიდველებს შორის.

ბაიხის ჩაის გარდა, ჩინეთში ამუშავებენ შავ და მწვანე აგურა ჩაის, რომელიც განლაგებულია ხანკოუსა და იანლოუდუნის რაიონებში.

6. ჩაის პაზარი იაპონიაში

იაპონიაში, როგორც წესი, პლანტაცია ეკუთვნის გლეხს და მუშავდება მისი ოჯახის წევრების მიერ. იაპონიაში არის რამდენიმე ათასი კერძო და მცირე ცალკეული პლანტაცია გლეხები ამუშავებენ ჩაის პლანტაციიდან მზა პროდუქციამდე და შემდეგ ბროკერების საშუალებით ყიდიან მზა პროდუქტს. ზოგჯერ თვითონ მონოპოლისტი - ბროკერები შეისყიდიან ჩაის და ყიდიან უშალოდ ექსპორტში. ან შეიძლება ბროკერიდან გაიაროს ფაბრიკანტის ხელში, რომელიც აწარმოებს თავის ჩაის ფაბრიკაში საბოლოო დამუშავებამდე - დაფასოებამდე. ამრიგად, თითქმის აუცილებელია ჩაის წარმოებისათვის ასეთი ჯაჭვი; მწარმოებელი - ბროკერი - ფაბრიკანტი ექპორტიორი.

იაპონიაში მუშავდება უმეტესად მწვანე ჩაი. იაპონური მწვანე ჩაი თავისებურია. აქვს სპეციფიკური, თივის სუნი, კარგი მკაფიო სუფთა ნაყენი და სწორი გარეგანი სახე. აქ არის შემდეგი ხარისხები ჩაისა - გიო-კურო, ხენჩა, ბანჩაბ მანჩა, გენჩა და სხვა. აქ უნდა აღინიშნოს დახარისხებული ჩაის ნახევარფაბრიკატის ფორმატის გამონაცერი, რომელიც არის კარგი სახის.

იაპონიაში გამომუშავებულ შავი ჩაის უმნიშვნელო რაოდენობას არ აქვს სამრეწველო დანიშნულება, ვინაიდან მისი ხარისხი არ უტოლდება მსოფლიო სტანდარტებს.

ლიტერატურა

- 1.Бахтадзе К.Е – Развитие культуры чая в СССР; издат. А.Н. СССР г. Тбилиси. 1961 г.
- 2.Бокучава М.А. –Биохимия чая и чайного производства; издат. АН.СССР г.Москва 1958 г.
- 3.Галдавадзе И.И. – Сортировка и дегустация чая; издат. «Сабчота Сакартвело», г. Тбилиси, 1974 г.
- 4.Гогия В.Т. – Хранение чая; издат. Пищевая промышленность. г. Москва 1964 г.
- 5.Гортинский В.В. Мачихина Л.И. Паресишвили З.И. Пути усовершенствования процесса очистки полуфабриката чая, Рефератив. Сборник «чай» 1(26) Культура и производство, г.Тбилиси. 1976 г.
- 6.Джапаридзе З.Ш. - Паресишвили З.И. – Устроиство для обработки полуфабриката чая. Авторское свидетельство №860741 опуб. 07.09.81 г. Бюллетень №33 УДК 663.95 (088.8) Госкомитет СССР по делам изобретений и открытий. г.Москва 1981 г.
- 7.Джапаридзе З.Ш. - Паресишвили З.И. – Устроиство для обработки полуфабриката чая. Авторское свидетельство №990172 опуб. 23.01.83 г. Бюллетень №3 УДК 663.95 (088.8) Госкомитет СССР по делам изобретений и открытий. г.Москва 1983 г.
8. Джапаридзе З.Ш. - Паресишвили З.И. – Устроиство для обработки полуфабриката чая. Авторское свидетельство №1056987 опуб. 30.11.83 г. Бюллетень №44 УДК 663.95

(088.8) Госкомитет СССР по делам изобретений и открытий.
г.Москва 1983 г.

9. Джинджолия Р.Р., Хоперия Р.М. Ревишвили Т.О. –
Практическое руководство по технологии производства
мелкого черного чая. Издат. «Алашара» г.Сухуми 1980 г.

10. Джомарджидзе Г.С. – Чайная промышленность на
острове Цейлон. Издат. НИИТИ, вып. №1. г. Тбилиси, 1974 г.

11. Жвания Г.Г. - Джапаридзе З.Ш. - Паресишвили З.И.
и др.– Бункер для хранения и дозированной выдачи сыпучих
материалов. Авторское свидетельство №1054254. опуб.
15.11.83 г. Бюллетень №42 УДК 663.95 (088.8) Госкомитет
СССР по делам изобретений и открытий. г.Москва 1983 г.

12. ჯომარჯიძე გ.ს. - ჩაის ნარმოების მანქანები. გა-
მომც. «განათლება» ქ.თბილისი 1971 წ.

13. Опарин А.Н. – Производственный контроль на
чайных фабриках; издат. Биохимия чайного производства, сб.
№2.73. АН. СССР г. Москва 1935 г.

14. ფარესიშვილი ზ.ი. - სოფლის მეურნეობისა და გა-
დამამუშავებელი მრეწველობის პერსპექტივები და ეკონომი-
ური ასპექტები; უკრ. «მიჯნა» ქ.თბილისი 1997 წ.

15. Паресишвили З.И. – Определение коеффициента
разрыхления смеси полуфабриката чая. Сборник «чай» 1(33)
Культура и производство. г. Тбилиси, 1978 г.

16. Паресишвили З.И. – Исследование зависимости
коэффициента сухого трения полуфабриката чая. Рефератив
Сборник «чай» 4(41) Культура и Производство. г. Тбилиси,
1978 г.

17. Паресишили З.И. – Усовершенствование механизации и автоматизации производственных процессов переработки чая. Рефератив Сборник «чай» 3(47) Культура и производство г. Тбилиси 1981 г.
18. Паресишили З.И. – Исследование экстрактивных и фенольных соединений в очищенно обогащением полуфабрикате чая. Рефератив. Сборник «Чай» 4(52) культура и производство г. Тбилиси 1982 г.
19. Паресишили З.И. – Очистка-обогащение сыпучих смесей и полуфабриката чая. Серия 4. Вып. 10. «Пищевая промышленность» Обзорная информация. г. Тбилиси 1982 г.
20. Паресишили З.И. – Оптимизация кинематических и технологических параметров вибропневматической очистительной машины полуфабриката чая. Тезисы докладов XXIII республиканской научно-технической конференции профессорско-преподавательского состава ГПИ. им. Ленина и работников производства г. Тбилиси 1981 г.
21. Паресишили З.И. – Способ переработки полуфабриката чая. Авторское свидетельство №942657 опуб. 15.07.82 г. Бюллетень №26 УДК 663.95 (088.8) Госкомитет СССР по делам изобретений и открытий. г.Москва 1982 г.
22. Эджибия Л.В. - Джапаридзе З.Ш. – Новый метод обогащения полуфабриката и готовой продукции байхового чая. Сборник «чай» вып. 2.(18) культура и производство. г. Тбилиси, 1972 г.

სარჩევი

ნინასიტყვაობა	
1. შესავალი.....	4
თავი I	
1. ზოგი რამ ჩაის ფოთლის შესახებ	6
2. ჩაის ქიმიური შემადგენლობა.....	9
3. ჩაის ფოთოლში შემავალი ამინომჟავები	13
თავი II	
1. ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების პროცესების კვლევა.....	17
2. ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების ტექნოლოგიური სქემები	21
3. ჩაის ნახევარფაბრიკატის შენახვის, გაწმენდა- გამდიდრებისა და დახარისხების ახალი ტექნოლოგიური სქემა	29
თავი III	
1. ჩაის ნახევარფაბრიკატის დამხარისხებელი და გადამამუშავებელი მანქანების ზოგადი მიმოხლივა ..	33
2. ჩაის ნახევარფაბრიკატის შემნახველი ბუნკერ- დოზატორი	34
3. ჩაის ნახევარფაბრიკატის გამწმენდ- გამამდიდრებელი ვიბროპნევმატური მანქანა	39
4. ჩაის ნახევარფაბრიკატის მჭრელი და ლეროს მომცლელი მანქანა „ბატემანი“	44
5. ჩაის ნახევარფაბრიკატის დამახარისხებელი მანქანა „კომბაინი“	46
6. ჩაის საკუპაჟე დოლი 4 კნ-III	52

7. ჩაის მზა პროდუქციის საბეჭნი მანქანა ყУТ-III57

თავი IV

1. ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების დანიშნულება	60
2. ჩაის მზა პროდუქციის კლასიფიკაცია.....	63
3. ჩაის დეგუსტაციის მეთოდები	70
4. „ცხელი დეგუსტაცია“ რუსული მეთოდი.....	73
5. დეგუსტაციის ამერიკული მეთოდი.....	75
6. სატიტესტერო საქმიანობა	76
7. ტიტესტერ-მწარმოებელი.....	78
8. ტიტესტერ-შემსყიდველი	81
9. ტიტესტერ-დამხარისხებელი	83
10. ხარისხის მართვის პრიცნიპები	83
11. ხარისხის შეფასების ბიოლოგიური ასპექტები.....	85
12. საწარმოო სასინჯი ტიტესტერია.....	89

თავი V

1. ჩაი მსოფლიო ბაზარზე.....	93
— კალკულის ჩაის ბაზარი	94
— კოლუმბიის (ცეილონის) ჩაის ბაზარი	96
— ჩაის ბაზარი ბაგავიასა და ამსტერდამში	96
— ჩაის ბაზარი ჩინეთში	97
— ჩაის ბაზარი იაპონიაში	98
ლიტერატურა	99



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge



A wide-angle photograph of a tea plantation. The foreground is filled with numerous rows of low, green tea bushes, arranged in a staggered pattern that slopes down from the bottom right towards the top left. In the background, a dense forest of green trees covers a hillside under a clear blue sky.

ISBN 978-9941-22-097-5



9 789941 220975